

1-27 სტრ., 3

ცხორებად და მოქალაქეობად და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩვენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტე ღმერთი ჩუენი ქუეყანასა ჩრდილოეთისასა და განანათლა ნათესავი ქართველთად, გვაკურთხენ[.....]

ინება რად მეუფემან მეუფეთამან და უფალმან უფლებათამან, ძლიერმან და თვთ მფლობელმან და შემოქმედმან ყოველთა მთავრობათამან და კელწიფებათამან, იესუ ძემან ღუთისამან, თანასწორმან მამისა და სულისა წმიდისამან, მოსლვად ქუეყანად კსნად დაბადებულთა თვსთა,- მოავლინა მოციქულად და მახარებლად მოსვლისა მისისა მთავარანგელოზი გაბრიელ და იშენა ტაძარი ქუეყანასა ზედა ბუნებისაგან მიწისა, უმაღლესი ცასა-ცათასა, ყოვლითურთ მოცვული და ბრწყინვალე ქალწულებითა და უბიწოებითა. და იშვა დიდი იგი მეუფე ტაძარსა შინა, არცა კლიტენი მისნი დაჰკსნა, არცა ბჰენი მისნი განახუნა, არამედ იშვა და ვითარცა შუწნისს მეუფეზასა მისსა, და გამოვიდა, ვითარცა იცის, მეფე, სადღუმლომან ღუთაებისა მისისამან. და ტაძარი იგი ეგრეთცა დაკრძალულად დაუტევა უზეშთავს ბუნებათა და უადრეს ყოველთა საკრველებათა. იშვა ქალწულისაგან, ვითარცა კაცი და არა განეკუა ღუთაებისა, არამედ ბუნებითა იქმნა ყოვლითურთ კაც და ყოვლითურთ ჰგიეს ღუთაებასა შინა და ისაყდრა წიაღთა ქალწულისათა, რომელი ჰგიეს ზეცას მამისათანა განუ შორებლად; ტვრთულ იქმნა წიაღთა დედისათა, მტვრთველი იგი ყოველთა არსთდ; მოქენე იქმნა სძისა, ვითარცა ჩჩვლი, რომელი ზრდის ყოველთა, ვითარცა ღმერთი; შეიხვა სახუწვლითა ჩჩვლთადთა, ვითარცა ყრმად და ვითარცა ღმერთმან განჰკსნნა საკრველნი ცოდვათა ჩუწნთანი; ჩჩვლებრ მიიწვინა ბაგასა დამბადებელი ყოველთად; ჰეროდესაგან იდეგ ნებოდა ვითარცა კაცი; სვმეონისაგან ღუთად აღსარებულ იქმნებოდა; ეგვპტედ ივლტოდა ვითარცა კაცი, რომელმან შემუსრნა კელით ქმნილნი

1-32 სტრ., 4

ეგვპტისანი; წარემატებოდა ჰასაკით ჯორცთადთა, რომელი იგი ყოველგან არს და მარადის ჰგიეს ღუთაებითა. მოვიდა იორდანეს და ნათელ ილო წინამორბედისა და ნათლის-მცემელისაგან, რომელი ნათლითა აღავსებს ყოველთა დაბადებულთა. აღასრულნა ნიშნი დიდ-დიდნი ვითარცა ღმერთმან, და კაცთა ზესთა ბუნებისა ღრეკილთა განამრთელებდა, კეთროვანთა განწმედდა, სნეულთა სიტყვთ განკურნებდა, მკუდართა აღადგინებდა, ეშმაკთა შერისხვთ განასხმიდა, ვიდოდა ზღუასა ზედა ვითარცა ჰმელსა; კნინითა პურითა უდაბნოსა ზედა ბევრეულთა

გამოზრდიდა. და სხუათა ესე ვითართა უმრავლესთა რიცხუთა იქმო-

და. არა კმა იყო ესე ყოვლად სახიერმან, არამედ ყოვლითურთ შეიწყალა უძლურებად ჩუენი და დაიმდაბლა თავი თვისი ვიდრე სიკუდიდმდე და სიკუდილითა მით ჯუარისაფთა და იხილა რაჲ, ვითარმედ თანა ნადებთა მათ ჩუენტა გარდაცდად შეუძლებელ ვართ, თავსიდვა რათა იქმნას ჩუენტვს წყევასა ქუეშე და თანანადები იგი ჩუენი გარდაიწადა და დაგუაგნა ღმერთსა მამასა და ვნებული იგი ბუნებაჲ კაცთაჲ უვნებელ ყო, რამეთუ უვნებელმან ჩუენტვს ვნებაჲ თავსიდვა და უსჯულოებათა ჩუენტათვს სიკუდილი ნეფსით მიითვალა, ჯუარს ეცუა ბუნებითა მით ჯორცთაფთა და მოკუდა და საფლავსა დაიდვა; ხოლო აღდგა ღუთაებრ მესამესა დღესა და თანა აღადგინნა ჯოჯოხეთს შინა მყოფნი, ამალდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა; და შემდგომად აღდგომისა უბრძანა მოწაფეთა და მოციქულთა მისთა, ვითარმედ - „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ.“

არამედ დღესა მეერგასესა მოუვლინა სული წმიდაჲ მათ, იყვნეს-რა იგინი ქორსა მას ზედა, და ეჩუენნეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი და იწყეს სიტყუად, ვითარცა უცხოთა ენათა, ვითარცა სული მისცემდა მათ და რომლისა ძალითა აღუსებულთა წმიდათა მათ მოციქულთა მიერ ერთ სარწმუნოება იქმნა სოფელი, და არცა ერთი ნათესავთაგანი დაშთა უსმენელი ჳმისა მათისა. არამედ სადაცა

1-32 სტრ., 5

იგი წინამძღომითა მისითა ქადაგად წარივლინებოდეს, იგივე ენად მიეცა სიტყუად, და იგი ნათესავი ერწმუნა სამოდღურებელად. და ესრეთ თვითოეული ყოველთა ნათესავთა მიმართ წარმართნეს ჯერისაებრ და დაუყენებლად ახარებდეს სახარებასა სასუფევლისასა და ასწავებდეს სიტყუასა ცხორებისასა რომელნი იგი სხუად და სხუად ქუეყანად[....] ხოლო ჳემმარიტებისა იგი მოსახელე, ყოვლად ქებული მოციქული ანდრია, ფრიად სა ნაწილსა სოფლისასა მქადაგებელი ჳემმარიტებისა, მოვიდა რა კაბადუკიად პონტოდ და მერმე ტრაპეზუნად და კუალად ნეოკესარიად, და მიმოვიდოდა ქალაქით ქალაქად და სოფლითი სოფლად და უქადაგებდა სიტყვასა ცხორებისასა-მივიდა სამუსატელთა დიდსა მას ქალაქსა, რომელ არს საზღვარსა სპარსთასა. მიერ აღვიდა იერუსალიმად, რათა აღასრულოს პასეჳი ყოვლად წმიდისა ღუთის-მშობელისა წინაშე და შემდგომად მარტვლისა კუალად განვიდა საქმესა მას ქადაგები-

სასა, რომლისა თანა იყუნეს სიმონ კანანელი, და მატათა და თადეოზ და, მიიწივნეს რა ედესად, თადეოზ დაშთა მუნ. ხოლო დიდებული ანდრია ორთა მათთანა ვიდოდა ქალაქითი ქალაქად და სოფლითი სოფლად, ასწავებდეთ და იქმოდეს სასწაულთა სახელითა ქრისტესითა, ვიდრემდის მიიწივნეს ქუეყანასა ქართველთასა და უქადაგეს სიტყვაჲ ცხორებისა.

იყო ვინმე მათ კერძოთა დედაკაცი მთავარი, რომელსა ჰრწმენა ქადაგება მოციქულთა და მატათა სხუათა თანა მოციქულთა დაადგრა მუნ და მრავალნი მოაქცინეს სარწმუნოებად და მეცნიერად ჭეშმარიტებისა; ვიდოდეს და ასწავებდეს ვიდრე მდინარედ ჭოროხადმდე და სოფლებთა ნიგალისათა. ხოლო დიდებული მოციქული ანდრია სიმონითურთ სხუათა თანა წარვიდა ოვსეთად და მიერ კუალად აფხაზეთად და სევასტოპოლად, რომელ არს ცხუმი.

ქადაგებდა და ასწავებდა ურიცხუთა ერთა მოაქცევდა სარწმუნოებად. ხოლო მეფე ქართველთა და უმრავლესი კერძო ქვეყნისა ჩრდილოსა დაშთა მასვე სიბნელესავე და საც-

1-27 სტრ., 6

თურსა კერპთმსახურებისასა, რომლისათჳს შემდგომად მცირედისა ეგულების თხრობად სიტყვასა ჩვენსა. ხოლო ყოვლად ქებულთა მათ და წმიდათა მოციქულთა თვთეულმან, და ყოველთა ერთბამად, თუ ვითარი მოქალაქობა აჩუენეს, ანუ ვითარი მოღუაწება მოიგეს, რამეთუ ყოველი სოფელი მოინადირეს და თვთ მნათობ იქმნეს, და რამეთუ სიმაღლითა სათნოებოთათა და უშიშად თავსდებითა ტანჯვითა და ჭირთათასა თვთ მის სიკუდილისაცა შეურაცხ-ყოფითა ანგელოზნიცა განკვრვებად შემოკრიბნეს და ყოველთა მეცნიერებად ჭეშმარიტებისა წარუძღვეს და განაბრწყინვეს ქვეყანა და ყოველნი ქალაქნი და სოფელნი ქადაგებითა ღვთის მსახურებისათა, აღავსნეს და შეწირნეს ბევრის ბევრეულნი სულნი ღვთისა სარწმუნოებისა მიერ და წმიდისა ნათლის-ღებისა განათლებულნი, და ესრეთ ჯერ ჩინებისაებრ საღმრთოსა და საღმრთოთა ვნებათა მიბაძვითა, რომელთამე ჯვარცმისა მიერ, სხუათა განტვიზვისა, სხუათა წარკუჭითითა თავათა-დაუტევეს სოფელი ესე და ზეცისა სუფევად აღვიდეს. ხოლო შემდგომად მათსა დამოწაფებულნი მათნი მორწმუნენი, განპოხებულნი სძითა მოძღურებათა მათთაჲთა, თუ ვითარ ყოველთა ძვირთა და ტანჯვათა და სიკვდილისა შეურაცხის მყოფელ იქმნნეს და ერეოდეს მთავარსა მისსა სოფლის მპყრო

ბელსა მას უკეთურსა, რომელმან იგი ღონითა მანქანებათა მის-
თადთა მყოფელნი ნებისა მისისანი მის ჟამისა მპყრობელნი
მეფენი და მთავარნი განჰმზადნა მსახურად თვსად და აღაზრზინ
ნა ტანჯვად და გუჴმად და სიკუდილად ქრისტეს მოწამეთა,- ამის-
თვს ჰგონებდა ყოვლად ბოროტი იგი დაკნინებად ღუთის მსახურე
ბისა და დაფარვად ჭეშმარიტებისა. არამედ უფროდს და უმაღლეს

1-32 სტრ., 7

განშუჴნდა და განბრწყინდა სიმრავლე წმიდათა მოწამეთა, და გვრ
გვნოსანნი ამაღლდეს წინაშე მეუფისა, და აღავსო სასუფეველი
ცათად და განანათლა სოფელი შეწყნარებამან წმიდათა ნაწილთა მათ-
თამან; და შეამკო ეკლესიად ქადაგებამან ღვაწლთა მათთმან, მოაშთო
მკდომი იგი ბელიარ მორევმან მან სისხლთა მათთამან და სრულიად
შემუსრა და დაწუა ყოველი ძალი მისი,- რომელთა შორის, ვითარცა
მთიები მდიდარი ბრწყინვალეებითა ვარსკვლავთა შორის- გა
მოჩნდა ყოვლად ბრწყინვალე იგი და საჩინო მნათობი, უმ-
ლეველი მხედარი, მკედრისა დიდისა, კადნიერად მდგომარე წინაშე
პირსა ღუთისასა, მსწრაფლი და მხურვალე მეოხი და მფარ-
ველი და ჴელის ამპყრობელი ყოველთა მორწმუნეთა და
უფროდს ნათესავისა ჩვენისა დიდებული მოწამე **ქრისტესი**
გიორგი, რომელმან იღვაწა დიოკლიტიანესზე, რომელი აღმოეცენა
ყოვლად საქებელით და უფროდსდა ესე ვითართა ნერგთა მიერ
ქუეყანით კაბჰადუკით, რომლისა ღვაწლისა და წამებისა ჟამთა და
ამასვე ქუეყანასა შინა იყო ვინმე თანა მოქალაქე მისი, კაცი კეთი-
ლად მორწმუნე, შვილი მდიდართა და წაჩინებულთა; კვალად იყო
იგი ძლიერ და ახოვან და განთქმულ წყობათა შინა, რომლისა სახე-
ლი ზაბილონ. ესე წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა
მსახურად და მოღებად პატივისა და ნიჭისა. ხოლო იყო ვინმე
მეგობარი მისთანა მოქალაქე, კაცი ღუთის მოყუარე და ყვნეს ძე
ერთი და ასული ერთი. ხოლო აღესრულა რად იგი და მეუღლე მისი
დაშთეს ობოლნი იგი, განყიდეს ყოველი მონაგები მშობელ-
თა მათთა და აღდგეს და წარვიდეს იერუსალიმად, და შეუვრ-
დეს მზრუნველსა ობოლთასა ყოვლად სახიერსა მას და გან-
მაცხოველებელსა მას ცხორებისა საფლავსა თაყუანი-სცეს
და მუნ დაადგრეს და მსახურებდეს. ამისა შემდგომად მირადწია
ყრმა იგი ჰასაკსად, კეთილად ქცევისა და წადიერებისა მისისათვს,
პატივითა პატივად აღყვანებული მიემთხვა პატრიაქობასა, ხოლო დაად
მისი ჰმსახურებდა წმიდასა აღდგომასა და ჰმოჩილებდა დედაკაცსა
ღირსსა და წარჩინებულსა სარრას ბეთლემელსა
ხოლო ჰაბუკი იგი ზაბილო, რომელი ზემო ვაკსენეთ, მიიწია

1-32 სტრ., 8

რად ჰრომედ წინაშე მეფისა, ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა და შემდგომად პატივისა და ნიჭითა განაწესა იგი მკედართ-მთავრად. მას ჟამსა იქმნა განდგომილება ფრანგთა და მარბველობითა განხრწნიდეს ქუჭყანასა ჰრომთასა, ვიდრემდის თვთ მეფის მიმართ ბრძოლა ყვის. ხოლო ჭაბუკი კაპადაუკიელი აღენტო მისთანა მკედრობითურთ, განვიდა შემთხვევად მათდა და შეწევნითა ქრისტესითა ფრიადი სიმკნე მოეცა და ძლევა დიდი აღადგინა და მბრძონლი იგი იოტნა და მთავარნი იგი მათნი და წარჩინებულნი ერისანი პყრობილნი წინაშე მეფისა მოიყვანნა, ხოლო მეფემან ფრიადი პატივი და ნიჭი უყო ზაბილოს, და განდგომილთ მათთვს განაჩინნა სიკვდილი. მაშინ იწყეს მათ ტირილად და ევედრე ბოდეს ზაბილოსს და ეტყოდეს: შეგყვანენ ტამარსა შინა უფლისა ღუთისა შენისასა და ნათელ-გუჭც სახელითა მისითა, რომელსა შენ ჰმსახურებ, რომელმან ესე ვითარი სიმხნე მოგცა შენ. და ესრეთ რად მოვისრნეთ, შენ უბრალო იყო სისხლთა ჩუჭნისაგან. მაშინ ზაბილონ აუწყა საქმე ესე პატრიაქსა ჰრომისასა პაპასა. ხოლო მან სიხარულითა შეიწყნარა და ნათელსცა მათ სახელითა მამისადათა, მისადათა სულისა წმიდისადათა, და შეიყვანნა ტამრად და აზიარნა სადღუმლოთა ქრისტეს ღუთისა ჩუჭნისათა და თაყვანი სცეს და შეემთხვივნეს წმიდათა თავთა მოციქულთა. და ხვალისა დღე მზისა აღმოსვლისა მკულელნი იგი აღვიდეს ადგილსა, სადა განჩინებულ იყო წარკუჭთადა თავთა მათთა და სიხარულით მოელოდნენ სიკუდილსა, აღბეჭდილნი წმინდისა ნათლისღებისა მიერ. ხოლო ზაბილო რად ამას ხედვიდა აღიდრა სულითა და ტიროდა ფრიად და, ვითარცა, ცხოვართა, თავნი მათნი მიიპყრნეს სიკუდილ, -წარვიდა და შევიდა წინაშე მეფისა და მოითხოვნა იგინი. ხოლო მეფემან მიჰმადლნა ზაბილოსს სიცოცხლე მათი, და მან განუტევა და წარავლინა მშვიდობით ქუჭყანად მათდა. ხოლო იგინი ევედრნეს ზაბილოსს, რათა წარჰყვეს მათ და მისცეს მათ ნათელი ქრისტიანობისა. ხოლო მან ისმინა ვედრებად მათი და ითხოვნა პაპასაგან მღდელნი, და წარვიდა მათ თანა ქუჭყანად მათსა. და ვითარცა მიიწივნეს მახლობლად, ეუწყა ერთა მათ ყოველი იგი ყოფილი, და

1-32 სტრ., 9

ვითარმედ მთავარნი მათნი ცოცხლებით მოვლენ, - შეკრბეს ყოველნი იგი სამთავრონი ერთად და მოეგებნეს მდინარესა ზედა დიდსა ლადმარსა და განყვეს მთავართა ერი იგი იმიერ და ამიერ, და აკურთხეს მღვდელთა წყალი იგი და შთაჰდა ყოველი იგი ერი და განიბანებოდეს, და აღმოვიდოდეს ადგილსა ერთსა და დაასხმიდეს მღვდელნი ჰელთა მათთა და ნათელ-სცემდეს სახელითა მამისადათა და

მისადათა და სულისა წმიდისადათა ათ დღე; და აღჰმართნეს კარავნი და შეწირეს უსისხლოდ იგი მსხუფრპლი და აზიარნეს ყოველნი საადუმლოთა ქრისტეს ღუთისა ჩუენისათა. ხოლო ზაბილო დაუტევნა მღვდელნი იგი მათთანავე, რათა ასწავონ სარწმუნოებაჲ ჭემმარიტი და სჯული და წესი ქრისტიანობისა და თვით წარმოვიდა ჰრომედვე დიდითა ნიჭითა გამდიდრებული მათ მიერ. ამისა შემდგომად განიზრახა გულსა თვისსა და თქუა: წარვიდე იწრუსა ლიმად და ვაჰმარო სიმდიდრე ესე ჩემი წმიდათა მათ ადგილთა იწრუსალიმისათა, და შერავიდა იწრუსალიმად, თაყუანი-სცა განმაცხოველებელსა ცხორებისა საფლავისა და წმიდათა მათ ადგილთა, და ფრიადი სიმდიდრე განუყო გლახაკთა. და იხილა რამეთუ მეცნიერი იგი მისი ყრმაჲ, რომელი დითურთ თვისით წარმოვიდა ქუწყანით მისით კაპზადუკით იწრუსალიმად, - რამეთუ პატრიარქ ქმნილიყო და დიდი სიყუარული აჩუწნა ზაბილოს და მეგობარ მისსა იქმნა. და ესე რად ესრეთ განეგებოდა, დღესა ერთსა ჰრქუა სარრა ბეთლემელმან პატრიაქსა: ესე ზაბილო, განთქმული ბრძოლათა შინა და უფროდს სიბრძნითა და ღუთის მოშიშებითა, რომელმან ერი იგი ურიცხვნი ნათესავნი ფრანგთანი მიუძღუნა ღმერთსა სარწმუნოებისა მიერ და ნათლისღებითა, ჯერ არს, რათა მისცეს დაჲ ესე შენი სოსანა ცოლად მისსა, რამეთუ ესე იყო სახელი მისი, და წარიყვანოს და წარვიდეს ქუეყანად თჳსად.“ რომელი იგი გულს-მოდგინედ ისმინა პატრიაქმან და მისცა სიხარულით დაჲ თვისი ცოლად ზაბილოსს. და წარიყვანა ქუწყანად თჳსად კაპზადოკიად, რომელთაგან იშვა მხოლოდ ღირსი და ყოვლად ნეტარი ნინოდ, ხეთა კეთილთაგან ნაყოფი კეთილი, სათნოდ ღუთისაჲ. და ვითარცა იქმნა ათოთხმეტისა წლისა, შეითქუნეს მშობელნი მისნი და განყიდეს ყოველი მონაგები მათი

1-32 სტრ., 10

და წარვიდეს იწრუსალიმად მხოლოდ ასულის ერთისა თანა, ნეტარისა ნინოსა, და მუნ განუყვეს ყოველი სიმდიდრე მათი.

ხოლო ზაბილო დაიწერა ჯვარი პატრიაქისაგან და იჯმნა ცოლი საგან თჳსისა და შეიტკბო ასული თჳსი, და სახედ ცუართა წჳმისათა დამოადინნა ცრემლნი ზედა პირსა მისსა და იტყოდა: შვილო, აჰა ესერა დღეს ობოლ იქმნები ჩემგან! რამეთუ დაგიტევებ და განგემორები; ხოლო შეგვედრებ შენ მამასა მას ზეცისათა და მზრდელსა ყოველთასა ღმერთსა, რომელი იგი არს მამაჲ ობოლთა და მსაჯული ქურივთა! დაჰნერგე გულსა შენსა სამარადისოდ შიში მისი და სიყუარული და ჰბამვედ ქცევასა ღირსთა მათ მენელსაცხებლეთა დედათასა და დათა ლაზარესთასა. და ესრეთ რად სცხონდებოდნი, ყოველი, რაოდენი ითხოო, მიიღო ღუთისაგან.“ და მისცა უკანასკნელი ამბორს ყოფაჲ.

ხოლო ზაბილო, ამღებელმან შურისა ელიაძასა და იოანესსა და ყოვლითურთ ჯმნილმან სოფლისაგან, განვლო იორდანე და უდაბნოდ განვიდა და მხოლოდ მხოლოდ ღმერთსა შეუდგა და ჰმსა ხურებდა, რომლისა არღარავინ უწყის კაცთაგანმან აქამომდე.

ხოლო პატრიარქმან დაჲ თვისი სოსანა მისცა მსახურად დედათა უძლურთა, ვითარცა თვთ ინება მან, და ესრეთ აღესრულა სათნოდ ღუთისა. ხოლო დისწული თვისი ნინო შეჰვედრა მორწმუნე სა და ღვთის მოშიშსა დედაკაცსა, რომელი მარადის ჰმსახურებდა წმიდასა აღსადგომელსა მაცხოვრისა ჩვენისა იესოჲ ქრისტესსა. მისთანავე ჰმსახურებდა ღირსი ნინო და ისწავლებდა მისგან, რამეთუ კეთილად მეცნიერი იყო იგი კსნისა ჩუწნისათჳს აღსრულებულთა განგებულებათა მაცხოვრისათა და მიუთხრობდა ანგელოზისა მიერ ხარებასა, ქალწულისაგან შობასა, იოვანეს მიერ იორდანესა შინა ნათლის-ღებასა და ყოველთა მათთჳს სასწაულთა ურიცხუთა, რომელნი აღასრულნა: და კვალად ჰურიათა მიერ შურითა შეჰპრობასა და ნეფსით ვნებასა, და ჯვარცმასა, დაფვლასა და მესამესა დღესა აღდგომასა. ხოლო იგი წადიერებით ისმენდა და საწურთელ მისსა აქუნდეს დღე და ღამე. ამისსა შემდგომად ჰკითხვიდავე ნეტარი ნინო სამოსელისათჳს ოჯგლისა, რომელნი ჯვარცმასა განიყვეს და სუდარისათჳს, და ტილოთა,

1-32 სტრ., 11

რომელი საფლავსა ოჯგლისსა იპოვნეს და კვალად ცხოველ-მყოფელისა ჯვარისათჳს! ხოლო იგი მიუგებდა, ვითარმედ: კუართი იგი საუფლიდ, რომელსა ზედა წილ-იგდეს ხუდა წილით ჰურიათა მცხეთელთა: ხოლო ტილონი და სუდარი მიიხუნეს პეტრე და მენელ-საცხებელთა დედათა; ხოლო ჯუარი და სხუანი, რაოდენი რაჲ ნეფსით ვნებასა მას მაცხოვრისასა მსახურ ექმნნეს ჯორცთა მათ საუფლოთა, შურითა განბატონებულთა მათ ჰურიათა დაფარნეს მიწასა. კვალადცა ჰკითხვიდა ღირსი ნინო სამოსლისა მისთჳს მაცხოვრისა და ქალაქისათჳს მცხეთისა; ხოლო იგი მიუგებდა, ვითარმედ ქუწყანაჲ არს ჩრდილოდსა დიდი, სამკვიდრებელი წარმართა, შორის პარათოს და ოვსეთისათა და სახით მათდა არს სამეფო ქალაქი იგი.

ხოლო ნეტარმან ნინო ისწავლა რა ყოველი ზედა მიწევნით, აღიპყრა კელნი ზეცად და ჰმადლობდა ძლიერსა და ყოვლისა განმგებელსა ღმერთსა და ყოვლად წმიდასა დედოფალსა ღუთის-მშობელსა, რომლისა ხატისა წინაშე იყო სურვილით და წადიერებით მდგომარე სენაკსა შინა, და მარადის განკრძალულ იყო ლოცუასა და

ვედრებასა. ხოლო ჩუენ აქა ვყოთ დასაბამი სიტყვისად მაუწყებელი
ქსნისა და ცხოვრებისა ჩუენისად, რამეთუ ვითარცა წერილ არს:

შემდგომად ამაღლებისა ოფლისა ჩუენისა იესოჲ ქრისტესსა და მო-
ვლინებითა სულისა წმიდისათა წმიდათა მოციქულთა ზედა და გან-
ყოფითა ენათაჲთა, მსგავსადვე ენისა მოცემულისა, წილ ხუდა იგივე
ქუეყანად თითოეულსა და ქადაგებდეს სიტყუასა ჭეშმარიტებისასა ყო
ველთა ქალათა და სოფელთა.

ხოლო წმიდასა იოვანეს მახარებელსა და ღუთის-მეტყუზლსა
ეგრეთვე სამ გზის წილ-გდებითა ხუდა კერძოდ ეფესოსსა ქუჭყანა
ასიისად, და აწუჭვდეს წმიდანი მოციქულნი წარსლვად ქალაქებსა მას
მსგავსადვე მათსა, ხოლო იგი მიზეზ ჰყოფდა არ ფლობად განშო-
რებისა ყოვლად წმიდისა ღუთის მშობელისაგან, რომლისა დამკვდრებულ
იყო ბრძანებითა საღმრთოთა, არამედ ჰმსახურებდა მას სახლსა შინა
თვისსა სიონს. ამისა შემდგომად ჰრქუა მას წმიდამან დედოფალმან:
„მაღლითა ქრსიტესითა, დედასა მისსა, არა ჯერ მიჩნს, შვილო,

1-32 სტრ., 12

რათა მოყუასნი და ძმანი შენნი განვიდენ ქადაგებად სახელსა
ქრისტეს ძისა და ღუთისა ჩემისასა, და მოიმოწაფენ წარმართნი და
შენ უქმად სდგე ჩემისა ოდენ მოღუაწებისათჳს, და კვალად გან-
ყოფასა ჩემგან იჭუჭლ ვარ: ნუ უკუჭ არა სათნო იყოს ოფლისა,
რომელმან გვიბრძანა ერთად ყოფად. აწ უკუჭ წარვედ შენცა ქუჭყა-
ნასა მას, რომელი წილ გხუდა, და მოვიდე მეცა შენთანა, რათა
ორივე სრულ იქმნას -შენიცა ქადაგებად და კვალად ჩემგან განუშო-
რებლობად. ესრეთ რად უბრძანა საყუარელსა მას და წარემართა მის-
თანა სლვად და ქადაგებად, და მაგდანელი მარიამ და სხუანა მენელ-
საცხებლენი მათთანა. და ვითარ ვიდოდეს სამ დღე ოდენ, მაშინ გა
მოუჩნდა მაცხოვარი და უბრძანა საყუარელო მისთჳს წარსვლად
ქადაგებად და მენელსაცხებელთა მათ მისთანა თანაშემწედ და მოღუა-
წედ. ხოლო ყოვლად წმიდასა დედასა მისსა ჰრქუა: „ არა მნებავს ქა
დაგებად წარსვლად შენი, არამედ წარვედ შენ სახიდ შენდა სიო-
ნად, რამეთუ ნაწილ შენდა არიან ადვილ მოსაქცევარნი
ერნი წარმართნი და ქუეყანა მათი. ხოლო აღრავსრულნენ ქვე
ყანისა ესე ჟამნი დღეთა შენთანი, არა ხოლო იოანე, არამედ
ყოველნი მოციქულნი კიდით ქვეყანისადთ შემოვკრიბნე შენდა,
მე თავადი მოვიდე წარყუანებად სულისა შენისა,“ რომელი იგი
აღუსრულა, ვითარცა აღუთქუა.

ხოლო ვინად მიიწია ყოვლად წმიდად იგი, აკურთხა ქუეყანად

იგი სლვთა თვსითა და კვალად იწრუსალიმად მოიქცა და იყოფე
ბოდა სახლსა მას იოანესსა სიონსა შინა. და იყო მოქალაქეობად მისი
ყოვლად საკვრველ, და უაღრეს ბუნებათა, ყოველთა დღეთა ცხოვ-
რებისა მისისათა ქუეყანასა. ხოლო განვიდა რად სოფლისა ამისგან
დიდებულთა მით მიცვალებითა და აღვიდა სუფევეად ძისა მისისა
თანა, ამისსა შემდგომად, წელთა მრავალთა შორის გარდასლვსა,
მოხედვად ყო ზეცით წყალობით ყოვლად სახიერმან დედოფალმან და
მოიქსენა ოვფლისა მიერ და ძისა მისისა წილხუდომილი იგი
მისდა ქუეყანად და ნათესავი ჩუენი, რამეთუ ნაწილ მისსა
ჩუენ ვართ ნათესავნი ქართველნი და ნეტარ ვართ ჩუენ და
სამ ნეტარ, რამეთუ ნაწილ მისსა ვიწოდენით, რამეთუ იგი

1-31 სტრ., 13

არს შემდგომად ღუთის მცსნელი და განმანათლებელი ჩუენი
მწარისა მისგან მონებისა და სრულიადისა ტყულობისა მთავრისა მის
ბნელისა! აწ კუალად აღვიდეს, სადა იგი პირუჭლ დაუტევეთ სი
ტყუად.

რამეთუ, ვითარცა ღირსი ნინო ილოცვიდა დღე და ღამე მარ
ხვთა და მოღვაწეობითა, და დაუცხრომელითა ვედრებითა, მდგომარე
წინაშე ხატსა მას ყოვლად წმიდისა ღუთის -მშობელისსა- დღესა
ერთსა რეცა აღტაცებულ იქმნა და იყო მდგომარე სიონს შინა წი-
ნაშე სენაკსა მას წმიდისა დედოფლისასა, რომელსა შინა მკვდრ იყო,
იყო რად ქუეყანასა ზედა-და ზედა კერძო ცხედარსა მისსა იყო ვაზი
რტომ გარდაფენილი. გამოუჩნდა ყოვლად წმიდა იგი ნეტარსა ნი
ნოს და ჰრქუა: „აჰა, ესერა წარგავლინებ შენ ქადაგებად ნა-
თესავთა მიმართ უცხოთა, ნაწილსა ჩემსა ქუეყანასა ჩრდი-
ლოდსასა, ერის მიმართ ქართველთასა, წარვედ სიმკნით და ყო-
ველთა უქადაგე ჭემმარიტებად.“

ხოლო მან შემრწუნებულმან ხილვისა მისგან მოუგო: „დედო-
ფალო ვერ შესაძლებელ არს ეგე ჩემ მიერ, რამეთუ მე დედკაცი
ვარ უცხო, უნდომ და უსწავლელი, ანუ რად იყოს სასწაულ და
წინამძღუარ საქმისა ამის?“

მაშინ დედოფალმან მიყო ზედა კერძო ცხედრისა მისისა მყოფ
სა მას რტოსა ვენაცისასა და მოკვუჭთა მისგან და შექმნა ჯუარის
სახედ და მისცა იგი კელთა ნინოდსათა და ჰრქუა: „ამით ნიშითა
სძლო ყოველთა მანქანებათა ეშმაკისათა და წარგემართოს ქადაგებად
შენი, და თანაშემწე გეყო და არა დაგიტეო შენ.“

ამისსა შემდგომად მოეგო რაჲ თავად თჳსად ნეტარი იგი, იხილა ჳელთა შინა თჳსთა, რამეთუ აქუნდა ჯუარი იგი ვაზისად შემრწუნებული და განკვრეებული ცრემლითა ადიდებდა ღმერთსა, და ყოვლად წმიდისა ღუთის-მშობელსა; და შეზღუდვილი სარწმუნოებითა და სასოებითა, კრძალულად მარადის ეპყრა მის შორის ჯუარი იგი წმიდაჲ. ესე ყოველი მიუთხრა დედის ძმასა თჳსსა წმიდასა პატრიარქსა ნეტარმან ნინო. ხოლო იგი, განკრთომილი დიდებულსა მას

1-32 სტრ., 14

ზედა სახილველსა ჰმადლობდა ღმერთსა და ყოვლად წმიდასა ღუთის მშობელს.

მათ დღეთა შინა მოვიდა ვინმე დედაკაცი შერაცხილთაგანი ქა ლაქით ეფესოდთ თაყვანის-ცემად წმიდისა აღსადგომელისა და გან ყოვლად ჳელის საქმისა. და ვითარცა მოილოცა წმიდანი იგი ადგილნი, კვალად წარემართა ქუჭყანად თჳსად. მაშინ ევედრა პატრიარქსა ღირსი ნინოჲ, რათა წარგზავნოს მისთანა გზასა მას, რომელსაცა ოვფალი მიუძღუეს. ხოლო წმიდამან პატრიარქმან, ძმამან დედისა მისისამან, მიიყვანა და დაადგინა აღსავალსა საკურთხეველისასა და დაასხნა ჳელნი მისნი მჯართა მისთა, ილოცვიდა და იტყოდა:

„ოვფალო ღმერთო, შემოქმედო ყოველთა დაბადებულთა, ხილულთა და უხილავთაო და მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო, რომლისა ჳელთა შინა არს ყოველი სული, შენ შეგვედრებ ობოლსა ამას დისა ჩემისასა და წარვაგლინებ ქადაგებად ღუთაებისა შენისა და მახარებლად წმიდისა აღდგომისა შენისა! სადაცა ჯერ იჩინოს შენმან სახიერებამან, წარუძღელუ და ექმენ კეთილ თანა მოგზაურ, მცველ და მფარველ ყოველთაგან სივერაგეთა მტერისათა! შეზღუდე ესე წმიდათა სულითა, შენითა რათა უშიშრად ვიდოდის შორის ასპიტთა და იქედნეთა, და მიუთხრობდეს ჳემმარიტებასა ღუთაებისა შენისასა, რამეთუ დიდებულ ხარ უკუნისამდე! და შენ ყოვლად წმიდაო დედოფალო ღუთის-მშობელო, სასოო ყოველთა შენდა შევედრებულთაო, რომელი ესე გამოირჩიე მსახურად დიდებისა შენისა, მარადის გარე შეიცევ ოხათა შენთა საფარველითა და წარუძღელუ, სადა იგი ჯერ გიჩნდეს, რამეთუ აჰა ესერა, მე ნებისაებრ შენისა წარვაგლინებ მინდობითა ურიცხუთა წყალობათა შანთადთა.“

და ვითარცა მოილო პატრიარქისაგან კურთხევაჲ ღირსმან ნინო, იჯმნა დედისაგან თჳსისა და წარმოვიდა დედაკაცისა მისთანა ეფე სელისა. და ვითარ მოვიდა სახიდ მისსა, შეემთხვა მუნ დედაკაცსა ვისმე წარჩინებულსა, სახელით რიფსიმეს, რომელსა სუროდა სარწმუნოებისათჳს ქრსიტესისა და წმიდისა ნათლის-ღებისა. იწყო

სწავლად მისსა ნეტარმან და წარმოუთხრობდა განგებულებათა-
თს მაცხოვრისათა, კსნისა ჩუწნისათს აღსრულებითა და კვალად

1-30 სტრ., 15

მეორედ მოსლვისა მისისათს დიდებით, და მოცემად სასუფეველისა
აღმსარებელთა სახელისა მისისათა.

მაშინ პატიოსანმა მან დედაკაცმან, ვითარცა ქუეყანამან კეთილ-
მან, შეიწყნარა თესლი იგი ნინოჲს სიტყუათანი და ნათელ ილო
მდღულისა მიერ სახელითა მამისაჲთა და მისაჲთა და სულისა წმი-
დისაჲთა, და წარიყვანა მისთანა ღირსი ნინოჲ და იყოფებოდა ორ-
წელიწად სახლსა შინა მისსა მასთანა და კეთილად ჰმოდღურიდა და
ასწავებდა მცნებათა მაცხოვრისა ჩუწნისა იესოჲ ქრისტესთა, რომლისა
სახელისათს იქმნა სივლტოლაჲ რიფსიმესი საბერძნეთით და გაა-
ნე აღმზრდელი მისი და სხუანი იგი ერგასისნი სულნი წარმოიყვან
ნა და მიჰმართა ადგილთა სომხეთესა მისთანა ვითარცა მოი-
წივნეს მახლობლად სამოთხესა თრდატ მეფისასა და დაადგრეს მუნ
ჟამ რავდენმე. ხოლო წმიდაჲ რიფსიმე და მისთანანი იგი იწამნეს
სახელისათს ქრისტესისა თრდატის მიერ და გვრგვ შემკობილნი
ღირს იქმნნეს სასუფეველსა. ხოლო განგებულთა ზეგარდაჲთა
დაიფარა ნეტარი ნინო უხილავად და ყოვლად მიუახლებელად მდევარ-
თაგან, და ხედვდა სიმრავლესა ანგელოზთასა წმიდათა მოწამეთა
ზედა მოსრულად, ზეცად დიდებით აღმყვანებულად. მაშინ დავარდა
ქუეყანად, ევედრებოდა ღმერთსა და იტყოდა: „ოვფალო ღმერთო
ჩემო, ნუ დამიტეობ მე მჭევალსა შენსა შორის მჭევთა ამათ მძუნ
ვარეთა და კაცთა, მსგავსთა იქედნეთა და ასპიტთა!“ მაშინ იყო ჳმად
მისა მიმართ, რომელი ეტყოდა: „აღდეგ, ვიდოდე აღმოსავალით,
სადა იგი სამკალი ფრიად არს, რომელიცა მოიმუშაკო და რომლისა
თს დაცვულ იქმენ და დაცვულ იქმნა.“ მაშინ აღდგა და წარვიდა
ნეტარი ნინო და, ვითარცა მოვიდა ოლოპორთა, დაიზამთრა მუნ
და მორაფწია ზაფხული, აღმოვიდა მათა ჯავახეთისათა და მიემ
თხვა ტბასა, რომელსა ეწოდების ფარავნაჲ და მუნ დაადგრა ორ
დღე და მოილო საზრდელი მეთევზურთაგან და განძლიერდა და
ადიდებდა ღმერთსა. კვალად იყვნეს მათვე ადგილთა მწემსნი ცხო
ართანი და მემროწლენი ზროხათანი, რომელნი არვეობდეს მათა

1-32 სტრ., 16

მათ ზედა სამწყოთა მათთანა. ჰკითხვდა მწყემსთა მათ ღირსი ნინო
ვინაობასა და სადაობასა. ხოლო მათ მიუგეს: „რომელნიმე ელირგნით
ვართ და რომელნიმე ქინძარელნი სხუანი საფურცლით და რო-
მელნიმე ქალაქისა დიდისა მცხეთისანი. ხოლო წმიდამან მიხედნა

ვითარმედ ჟამსა ზაფხულისასა სავსე იყვნეს თოვლითა მთანი იგი ჩრდილოეთისანი, განკვრეებული ღაღადებდა ღვთის მიმართ და ილიცვდა და მცირედ მიწვა ქუჭყანასა ზედა, რათა განისვენოს და, ვითარ მიეძინა, წარმოუდგა კაცი ბრწყინვალე ხილვითა და შუჭნიერი ჰასაკითა და მისცა წიგნი აღბეჭდილი და ჰრქუა: „აღდეგ და მიართუ წიგნი ესე მეფესა წარმართთასა მცხეთას, რამეთუ ამისთვის მოივლინე.“ ხოლო მან ცრემლით მიუგო: ოჯვალო, მე დედაკაცი ვარ უცხო, ვიდრე ვლიდე უცხოთა ნათესავთა თანა?“ მაშინ განასწა წიგნი, რომლისა თავ დაწერილ იყო სახელი იესოჲჲსი ჰრომაელეზრ: „სადაცა იქადაგოს სახარებად ესე, მუნცა ითქუმოდის დედაკაცი ესე, რამეთუ არა არს მამაკაცებად და დედაკაცებად, არამედ თქვენ ყოველნი ერთი ხართ, წარვედით და მოიმოწაფეთ ყოველნი წარმართნი და ასწავებდით მათ, რამეთუ ნათელი გამოზრწინვად არს მათდა და აქამომდე იყო სახილავი ესე.“ არა ჰრქვა, ვითარცა იგი პირველად მოციქულთა, ვითარმედ წარგადგინენ თქვენ წინაშე მეფეთა და მთავართა საწამებლად და გტანჯვიდენ თქვენ და მოგწყვდენ და ნუ გეშინის მათგან, რომელთა მოსწყვდენ ჴორცნი თვენნი. არარად ესე ვითარი ჰრქვა, რამეთუ წუთდა დედაკაცი იყო უცხო და მხოლო მხოლოდ შემტკობელი მჴურვალისა სარწმუნოებისა და საღმრთოსა სიყვარულსა, არამედ, ვითარცა იგი უბრძანა მარიამ მაგდალინელისა: „წარვედ ახარე ძმათა ჩემთა: თვთ თავადმან ყოვლისა წინასწარ განმგებელმან და წინასწარ მცნობელმან წინასწარვე განმზადნა გულნი ერთა მათ წარმართთანი შემწყნარებლად საღმრთოთა სიტყვათა თესლთა და გამომღებლად ნაყოფთა, რომელნი იგი, ვითარცა ცხოვარნი მწემსსა, ეგრეთ შემდგომად იყვნეს ქადაგებათა და სწავლათა ღირსის ნინოსათა, რომელნი სასწაულთა მათ მიერ დიდებულთა იქმნა

1-32 სტრ., 17

წყარო ნიშათა და მადლთა. და ვითარცა განიღვიძა ჩვენებითა მისგან, აღდგა და აღიპყრნა ჴელნი ზეცად მიმართ და მყო ვარ ჟამ ილოცვიდა, და კვალად ცრემლითა მჴურვალითა ევე დრებოდა და შეურდებოდა შესავედრებელსა მას ყოველთა მორწმუნეთასა ყოვლად წმიდასა დედოფალსა ღვთის- მშობელსა და იტყოდა: „მ ყოვლად ქებულო და დიდებულო, და ყოვლად საგალობელო დედაო ღვთისაო! რომელმან უხრწნელებით შევ ცხორებად ჩვენდა მოსრული წმიდა იგი წმიდათა, სიტყვა ღვთისა, შეიწირე ვედრება უღირსისა მონისა და მჴევალისა შენისა! მოიხილე ჩემზედა საფარველითა მადლისა და მეოხებისა შენისათა და შემწედ ჴელის ამპყრო

ბელ ექმენ უძღურებასა ჩემსა და წარდევნენ და აოტენ ბო-
როტნი იგი მკვეცი ხილულნი და უხილავნი, ყოველთავე
განსაცდელთა დამიცევ, და ყოველთა საბრჯეთა და სა
ცთურთა მტერისათა უვნებელად თანა წარმჯადე, რომელი
ეგე ხარ სასო და სიმტკიცე, ზღუდე და მცველი ყოველთა
შენდა შევედრებულთა, რამეთუ, აჰა ესერა, ბრძანაბისაებრ
მისა შენისა და ღვთისა ყოველთასა ვითარცა შენ სათნო
იყავ მინდობითა ოხათა შენთთანა წარვემართები უშიშთა და
მტკიცითა გონებითა ქადაგებად სახელსა მისსა წმინდასა ნა-
თესავსა შორის წარმართთასა! და ვითარცა იგი განაგებდ და
მოდღურიდ და ასწავებდ წმიდათა მოციქულთა ქადაგებასა
მას ჭეშმარიტებისასა, და მათთანა წმიდანიცა იგი მენელ
საცხებლენი დედანი წარავლინენ მსახურად, ქადაგად და მო
ციქულად, - წარმიძელუ მეცა და მასწავე სიტყვა ჯეროვანი და
საქმე უმჯობესი! და მოხედენ და შეიწყალენ ერი განწირუ
ლი, რომლისათვს დასთხივა პატიოსანი სისხლი თვისი ქრის-
ტემან ძემან შენმან და ღმერთმან.“ და ვითარცა სრულ-ყო
ლოცვა, მყის განათლდა გონება მისი და ნათელი და ბრწყინ
ვალეზა მიუთხრობელი გარე შეემოსა მას, მოფენითა მის ზე
და მადლთა ყოვლად წმიდისა ქალწულისა მიერ და დე
დისა ღვთისა. აღდგა და წარემართა შექურვილი მის მიერ და

1-32 სტრ., 18

იწყო სლვად მიემთხვა კეთილთა მოგზაურთა და შევიდა
ქვეყანასა ქართლისასა, და მივიდა ქალაქად ურზნისათ. იხი
ლა მას შინა ერი უცხო, უცხოთა ღმერთთა მსახურნი, რო
მელნი ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაყვანის-სცემდეს მი
ვიდა ბაგინსა ჰურიათასა, ენისათვს ებრაულისა, რამეთუ
ებრაული და ბერძნული წიგნი და ენა კეთილად ესწავლა, და
დაყუნა მუნ თვისა ერთისა ჟამნი და განიცდიდა ძალსა მის
ქვეყანისასა. ამის შემდგომად, დღესა ერთსა წარემართნეს
სიმრავლენი ერთანი ქალაქით ურზნისით ქალაქად სამეუფოდ
მცხეთად თაყვანის -ცემად ღმერთისა მათისა არმაზისა, და
კვალად შეძინებისა და ვაჭრობისა. წარვიდა მათთანა ნეტა-
რიცა ნინო და, ვითარცა მიიწია ქალაქად მცხეთად და და-
დგა წიად კერძო ჯიდისა და ხედვიდა ერისა მის სიმრავლესა,
რომელნი დაბნელებულ იყვნეს საცთურთა მით კერპთ-მსა
ხურებისათა, - ცრემლეოდა ცთომილებისათვს მათისა და წარ-
წყმედისათვს სულთა მათთასა.

და ვითარცა იყო ხვალისა დღე, დასცეს საყვირსა და
აღიძრა სიმრავლე ერისა ურიცხვი, ფერად -ფერად შემოსილნი

და გამოვიდოდეს ქალაქით. შემდგომად მცირედისა იწყო ერმან მორიდებად გზისაგან, და გამოვიდა დედოფალი ნანა, და შეამკუნეს ფოლოცნი თვითოს ასითა სამოსელითა ყუავილთათანა და სულნელთა. ამისა შემდგომად გამოვიდა მეფე მირიან ეზნითა და ქნართა და ჳმითა ნესტვისათა, და მრავლითა სახიობითა. ხოლო ღირსმან ნინო ჳკითხა დედაკაცსა ჳურიასა, ვითარმედ: რაჲ არს ესე, ანუ რა ეგულვების ერსა ამას? ხოლო მან მიუგო, ვითარმედ: ღუთისა მათისა თაყვანის ცემად, აღვლენ, რომელი იგი არა რაჲ სხუა, გარნა კეპი უსულო. და ვითარცა აღივსნეს მთანი იგი სიმრავლითა ერთათა, აღვიდა ნეტარიცა ნინო მათთანა და ხედვიდა საკვირველებასა მას მეფეთა და ერისასა, და კვალად საზარელად საოცრებასა მას კერპისასა განიცდიდა: რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა, და ემოსა ტანსა მისსა ჯაჳვი ოქროსა და

1-32 სტრ., 19

თავსა მისსა ედგა ჩაფხუტი ოქროსა და სამჳარნი მისნი ოქროსანი და თვალად მისსა აქუნდა ქუა ბივრიტი და იაკინთოდ ხოლო ჳელსა აქუნდა ჳრმალი, რომელი, ვითარცა ელვა, საზარელად იქცეოდა ჳელსა შინა მისსა, რეცა რომელი შეეხე ბიან სიკუდილად წარიწირის თავი და განიკითხავნ, და იტყვნ თვთოეული თავსა შორის თვსსა: ნუ უკუჭ დავაკლე ერთგულობითა მსახურებასა, ანუ სცთა სადამე სიტყვად ებრაელსა თანა, ანუ სმენად დახუდა სადამე მზისასა ღუთად, ანუ მოიგონა სადამე დიდი ღმერთი ჳეცისა და ბიწი რაი პოოს მასთანა, სცეს მას მაჳკლი იგი ამისათვს შიშით და ძრწოლით მიეახლე ბოდა მას მეფე და ყოველი ერი; ესრეთ მანქანებდა მის შორის მყოფი იგი ეშმაკი და აცთუნებდა მათ. ხოლო მარჯვენით მისსა უდგა კაცი ოქროსა და სახელი მისი გაცი და კვალად მისა მარცხენით დგა კაცი ვერცხლისა და სახელი მის გაცა. იხილა რა ესე ყოველი ნეტარმან ნინო, სულთ ითქმიდა და ფრიად ცრემლაოდა, ვითარ სრულიად დაბრმობილნი და დაბნელენულნი მტრისა მიერ ცოცხლივ შთაენთქნეს ჯოჯოხეთსა მეფენი და მთავარნი ესეოდენსა თანა სიმრავლესა, რომელნი ჳელითა კაცთათა ქმნულთა უსულოთა ღმერთად თაყვანის სცემდეს ყოვლად უცხონი შემოქმედისაგან! წარვიდა უკუჭ მცირედ განშორებულად და აღიპყრნა ჳელნი ჳეცად და ცრემლით ევედრებოდა და იტყოდა: „ოჳფალო ისეო ქრისტე, ღმერთო ჩუწნო ღმერთო და შემოქმედო ყოველთა დაბადებულთაო! რომელი ცხორებისათვს ჩუწნისა კაც იქმენ და ხატი მონისა შემოსად არა უღირს იჩინე, რათა აცხოვნო რომელი

ჰქმენ ხატად შენდა და იქსნა მძლავრებისაგან სოფლის მპყრო
ბელისა ბნელისა! მოიხილე აწცა მალლით სამკვრებელით
დიდებისა შენისათა დაბადებულთა შენთა ზედა და იქს-
ნენ სიბნელისა მწარისა და ტყვეობისა მტრის ბოროტისა,
რომელსა მხოლოსა გნებავს ყოველთა ცხორებად და მეცნი
ერებად ჭემმარიტებისა მოსლვად. ზე, ოჯგალო, მისმინე ვედრე-
ბად უღირსისა მონისა და მკვევალისა შენისად, აჩვენე ძლიერებად

1-32 სტრ., 20

შენი ჟამსა ამას და ჰყავ სასწაული კეთილ, რათა იხილონ
ერთა ამათ მაცხოვრება შენი და შენ მხოლო გიცნან ღმერ
თად ჭემმარიტად და შენდა მხოლოსა შეწირონ დიდება და
თაყვანისცემა.“

და ვითარცა სრულ ყო ლოცვად, ეჰა ძლიერებათა შენთა ქრის
ტე, რამეთუ მეყსეულად გამოჩნდა დასავალით ღრუბელი ბნელი
და ქარი ძლიერი, და იქმნეს ქუხილნი სასტიკნი და ჰმანი
საზარელნი და მეკისტეხანი შესამრწუნებელნი, რომლისა მიერ
მეფე და მთავარნი და ერი იგი. ლტოლვილნი საშინელე
ბისა მისგან, ურთიერთას დასთრგუნვიდეს და ქალაქად თვთო
ეული სახიდ თვსად მირბიოდეს. ხოლო ადგილი მას საკერ
პოსა და კერპთა მათ ზედა მოიწეოდა სეტყვად თხრობად გან-
საკვრვებელი, რომელი, ვითარცა რკინისა, ანუ რვალისა
ლოდებრ ეკვეთებოდა ვიდრემდის სად დამუსრა და დაწვლი-
ლნა, ვითარცა მტვერნი და ზღუდენი იგი და შენებულება ყო-
ველი დაარღვა, ვიდრემდის ადგილიცა იგი მათი უცნაურ საგო-
ნებელ იყო მათ ყოველთა მიერ, რომელსა ზედა შენ არს აწ ეკ
ლესიად ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელისა და მონასტერი ფრიად
შუჭნიერი

ხოლო ნეტარი ნინო ჟამსა მას ზეგარდმოდა ძლისაგან წარყმე
დასა კერპთასა მდგომარე იყო უშიშრად მახლობელად ადგილისა მის
მცირესა საფარველსა კლდისასა ქუჭშე მდგომარე და შესწირვდა ღუ
თისა ქებასა და მადლობასა. ხოლო ვითარცა იქმნა მყუდროება და
განწმდა ჰაერი, წარმოვიდა ღირსი იგი წიად კერპო დასავალსა კლდი-
სასა, სადა პირუჭლ ქალაქი შენ იყო და დგა მუნ ხე შუჭნიერი,
რტო გარდაფენილი, რომელსა ქუჭშე დაადგრა ექუს დღე, გამოსახა
ხესა მას ზედა სასწაული ჯუარისად და ილოცვდა მარადის დღე და
ღამე. მაშინ გამოვიდა სიმრავლე ქალაქისა ხილვად ადგილისა მის და
ძიებად ღმერთთა მათთა, რომელთა ყოვლად არა ჰპოებდეს და, ვი
თარცა ცნობა მიღებულნი, ურთიერთს განკვრვებით ხედვდეს და

სიცოფისა რათმე სიტყუათა ზრახვიდეს, ვითარმედ მტერ არს ღვთისა ჩუწნისა არმაზისა ღმერთი ქალდეველთაჲ, და ვითარცა ჩუწულე

1-31 სტრ., 21

ბა არს ნათლის მპყრობელეზაჲ, ურთიერთარს მძლავრობენ და ესე ყოველი მის მიერ მოიწია. ამას და ესე ვითარსა იტყოდეს საკიცხელსა და საბასრობელსა მოკიცხულნი იგი ეშმაკისაგან, მარადის მოკიცხული და საბასრობელთა მათ ღმერთთა მათ თანა. მაშინ მოვიდა ერთი წარჩინებული მკვევალთაგანი დედოფლისაჲ სახელით შროშანა და, ვითარცა იხილა ნეტარი ნინო ხეთა მათ ქუწუშე, მოიყვანა თარგმანი ბერძნულ მეტყუელი დედაკაცი და ყოველი საქმე მისი და ვინაობაჲ და მიზეზნი მუნ მისლვისაჲ ყოველი ზედა მიწევნით ისწავა და კეთილად გულისგმაყო და ფრიადითა ცრემლითა აღვსებული აძულეზაჲ წარსლვად მის თანა სადედოფლოდ. ხოლო მან არა ინება, არამედ შემდგომად სამისა დღისა შთაჲდა ქალაქად და მიჰმართა სამოთხესა მეფისასა და პოვა მუნ სახლი მცირე მცველისა მის სამოთხისა, რომელსა შინა იყო დედაკაცი ერთი სახელით ანასტოს. იხილა რაჲ ღირსი იგი, აღდგა მსწრაფლ და შეიტკბო, ვითარცა მეცნიერი და დაჰბანა ფერხნი და სცხო ზეთი და მოართუა საზრდელი, რომლისა თანა დაადგრა ცხრა თუწ. ხოლო დედაკაცი იგი იყო უშვილო და ფრიად იურვოდა ქმარი მისი. ღამესა ერთსა იხილა ნეტარმან ნინო ჩუწნებით კაცი ვინმე ბრწყინვალე ნათლისაჲ და ჰრქუა მას-, „შევედ სამოთხესა მაგას ხეთა ქუეშე ადგილსა ყუავილთასა და აღილე მიწად და აჰამე კაცთა მაგათ და ესუას ძეებ.“ და მან ყო ეგრეთ. და შემდგომად მცირედისა ესხნეს მათ ძეებ და ასულეზ. რამეთუ იყო სამოთხესა მას შინა ხე კვპაროზი დიდი და ფრიად შუწნიერი და ქუწუშე მისსა მრავალფერთა ყუავილთა სულნელეზაჲ მარადის იყნოსე ბოდა, რომელი ყოველთა მიერ განსაკვრვებელი იყო.

და კვალად იხილა ღირსმან მან ჩუწნეზაჲ, რამეთუ მოვიდიან სიმრავლენი მფრინველთანი და განიბანნიან დიდსა მას შინა მდინარესა მტკურისასა და აღმოვიდიან სამოთხესა მას და ხესა მას ზედა შემოკრებოდიან და ქუწუშე მისსა ყუავილთა მათ მოისთვლობდიან და რეცა თუ წმიდისა მის მიმართ ღაღადებდიან. ესე ხილვაჲ სამგზის იხილა და მიუთხრა სიდონიას, ასულსა აბიათარისსა, რომელი იგი პირველ სარწმუნოებად მოსლვამდე დედოფლისა (და)მოწაფებულ იყო და მისდა და თანა შროშანა, რომელი ზემოთ ვაჰსენეთ სხუათა თანა შუდთავე.

1-31 სტრ., 22

სიდონია სწავლულ იყო სჯულსა მოსესსა და წინასწარმეტყველთასა და კეთილად და ღირსებით მეცნიერ სა მამად მისი აბიათარ მღდელთ

მოდლუარი იყო ჰურიათაჲ, კაცი სიბრძნითა და ფილოსოფოსობითა
შემკული, რომელმან ფრიად იღვაწა ჭემმარიტებისათჳს ღირსისა ნი
ნოდსათანა, რომლისათჳს ქუჭმორე მიგიტხრათ
ხოლო ვითარცა წმიდამან ჩუჭენებაჲ იგი მიუტხრა სიდონიას,
მყის აღძრულმან სულისაგან, გარდამოუტევნა მდინარენი ცრემლთან,ი,
მიუგო და ჰრქუა: „, ყოვლად უცხოო ჩუჭნთანა აღზრდილო! შორით მოსრულ და
ჩუჭნდა მომრთუმელო ზეცისა ნიჭთაო! შენ მიერ ეგუ-
ლების შემოქმედსა განათლებად სულთა ჩუჭნთაჲ და ბნელისაგან უმე
ცრებისა ნათლად ჭემმარიტებისად გამოყვანება და შენ მიერ იც-
ნან ღმერთი ყოველმან ამან სიმრავლემან წარმართთამან, რომელნი
ტყუფ ქმნილ არიან მწართა მონებითა ეშმაკთათა. ესე ყოველი,
ვითარცა აღსრულებად იყო, შემდგომად მცირედისა კეთილად აღუქსნა
გონებამან მან დედაკაცმან პირველადვე.

ხოლო ღირსმან ნინო მადლი შეწირა ყოვლად სახიერსა ღუთი
სა და წარვიდა საყოფელად თჳსსა „შორის მაყუალთა მათ, რომელ-
ნი მდგომარე იყუნეს სამოთესა მას, მახლობლად კვპაროზთა მათ
საკვრველთა, რომელნი სახედ ტალავრისა გარდართხმულ იყვნეს და
დაჰფარვიდეს მას, და დღე და ღამე ევედრებოდა ღმერთსა, რათა მი
სცეს მეცნიერება ღუთაებისა მისისაჲ, ხატად მისა დაბადებულთა
წარწყმედილთა მტერისა მიერ.

ხოლო იყო მოქალაქობაჲ მისი მოლუაწებაჲ ფრიადი და ცრემ
ლითა და ლოცვითა სამარადისოდთა სავსე, და საწადელ-საშუჭბელ
მისსა სიმრავლე მარხვისაჲ, და კეთილ სამოსელ მისსა სამოსელი
ბალნისაჲ და ცხედარ და სარეცელ -განსასუჭნებელ მისსა ძამად მიწასა
ზედა დარეცილი. ესე ვითართა მოღვაწებითა დაადგრა იგი ადგილსა,
მას შორის მაყუალთა ექუს წელ. ხოლო ვინაჲთგან წარმართნი იგი
მკურნალობისა ჳელოვნებასას უმეცარ იყვნეს და სიმრავლითა სნეულთაჲ
თა აღსავსე, ამისთვისცა ურთიერთარს მოვიდოდეს და სნეულებისაგან
სიმრთელედ შეცვალებულებისა მისგან სახესა თჳსთა სნეულთა კურნე-
ბისასა ისწავებდეს. ამისთვისცა, კაცისა ვისმე წარჩინებულისა ძე სნე

1-32 სტრ., 23

ულ იყო და მიეცა მას მიერ ღირსსა ნინოს, რათა წარიყვანოს და
იძიოს სხუათაგან სახე კურნებისა მისისაჲ. ხოლო ნეტარმან მან
ყრმად იგი მიიქუა და წარიყვანა და თჳსსა ცხედარსა მიაწვინა და
ევედრა ღმერთსა, ყოველთა დამბადებელსა განქსნად და შეცვალებად
იგი სნეულებისა მისგან. ხოლო ყოველთა უფალმან ვედრებაჲ მისი
შეისმინა და ყრმასა მას სიმრთელე მიანიჭა.

და კვალად ასული დედაკაცისა ვისიმე ვნებული ლოცვითა ღირსმან განკურნებული მისცა დედასა მისსა. მიერთგან მრავალთათვის განკურნებულ იქმნა ღირსი იგი, ვიდრეღა არცაღა თუ მეუღლისა გან მეფისა სამე ესე დაფარულ იქმნა, და ვინაფთგან იგიცა ეგე ვი თართთა ბოროტითა სენითა შეპყრობილ იყო, მეყსეულად მიავლინა მისა ვედრებით, რათა მივიდენ მისსა. ხოლო ღირსმან მან ფრიადი სა მის მდაბლისა გონებისა მისისაგან სამეუფეოდ იგი ვედრებად არა მითუალა. ხოლო სენთა მიერ ფიცხელთა იძულებულმან ცოლმან მე ფისამან განაგდო ზუაობითა იგი მეფობისა პატივი და თავით თვსით უცხოდას მის და მდაბლისა მიისწრაფა და ითხოვდა კურნებასა. ხოლო ღირსმან მან ნეტარებისამან იგიცა თვსსავე მას უნდოსა ცხედარსა მიაწვინა და წამლად განსაკურნებლად ვნებისა მისისა იკუმია ლოცვად და ღმერთმან, რომელი შეისმენს ვედრებასა მოშიშთა მისთასა, მონიჭა მსწრაფლ თხოვად მისი და ყოვლითურთ განკურნებული წა რავლინა სახიდ თვსა, ხოლო დედოფალმან სასყიდლად კურნებისა მოართუა მას, რომელი იგი მას ღირსად პატივისა შეერაცხა ოქროდ და ვერცხლი, სამოსელი და სამკაული და სხუად, რაოდენიცა შეეყუჭ ბის ძღუწნსა და მისაცემელსა. ხოლო ღირსმან მან ამათი მიღება ყოვლად არა თავს იდვა, არამედ ჰრქვა, ვითარმედ ჩემდა დიდად მისათვალველ არს უკეთუ იცნათ ღვთის -მსახურებად და შემოიხუნა შორის საღმრთონი სწავლანი, ვითარნი ჯერ იყვნეს, და მიუთხრნა ცხორებად ჩვენდა მოსრულისა და მაცხოვრისა ქრსიტეს განკაცებისა ყოველი განგებულებად; კვალად ჯვარცმად, აღდგომად და ზეცად ამაღლებად და დაუმტკიცებდა, ვითარმედ ჭემმარიტად იგი არს ღმერთი და შემოქმედი ცათა და ქუწყანისა და ზღუათად და ყოველი რად არს მას შინა, და კვალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველ

1-32 სტრ., 24

თა და მკუდართა. და ევედრებოდა რათა ჰრწმენეს იგი ყოვლითა გულითა და რათა. აღაშენოს ეკლესია სახელსა ზედა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩუწნისა იესო ქრისტესსა. ესმა რად ესე ყოველი დედოფალსა, ლმობიერ ქმნილი და განკურნებული სასწაულსა მას ზე და დიდებულსა და ტკბილთა სწავლათა მიერ ნეტარისა ნინოდსათა განათლებული სახიდ თვსა მიიქცა. და აუწყა მეუღლესა თვსსა მოსწრაფებად იგი კურნებისად და ძალი ღვთისად მის რომელსა ქადაგებს უცხოდ იგი და ყოველი რომელი ესმინა მისგან და ევედრებოდა რათა იგი მხოლოდ უწყოდეს ღვთად ჭემმარიტად. ხოლო მეფემან მირიან აქო მეუღლესა ზედა თვსსა ქმნილი იგი საკვრველებად და უკვრდა ფრიად, ხოლო ტაძრისა აღშენებად არა ინება. იმა ჟამსა მცირესა ძე მეფისად შეპყრობილ იქმნა ფიცხელად სენითა ჯურვებისადთა, რომლისად უბრძანა დედოფალმან, რათა მიჰგუ

არონ იგი ღირსსა ნინოს, და ევედრებოდეს განკურნებად მისსა. ხოლო წმიდამან ჩუჭულეებისამებრ ლოცვანი და ვედრებანი შეწირნა უფლისა და ყოვლითურთ განკურნებული მისცა იგი დედასა თვსსა. ამისა შემდგომად დაემოწაფა დედოფალი ნანა ღირსსა ნინოს სხუათა თანა წარჩინებულთა მკვევალთა მისთა და მარადის ისმენს სწავლათა მოძღურებათა მისთა. და ვითარცა სასწაულნი დღითი-დღე აღესრულებოდეს წმიდისა მის მიერ და განითქუმოდეს ურიცხვნი იგი კურნებანი, მთავარი ვინმე სპარსი მოვიდა მეფისა სახელით ხუარა, რომელი იგი იყო დედის ძმა დედოფლისაჲ. ესე ვნებული იყო სულისაგან ბოროტისა და იგუჭმებოდა ფრიად მრავლით ჟამითგან და ევედრებოდა დედოფალი ღირსსა ნინოს განკურნებად მისსა. ხოლო მეფემანცა მიუვლინა, რეცა ურწმუნოებით და ორგულებით, და ეტყოდა ნეტარსა მას: „რომლისა ღუთის ძალითა იქმ შენ კურნებათა ამათ? ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი და ვინაჲთგან უცხოებით მოხუცდ აქა, მოგანიჭეს შენ ძალი კურნებისაჲ და შეგიწყალეს შენ, რამეთუ დაღაცათუ ჰაერთა მიერ შეიმუსრნეს, არამედ ცხოველ არიანვე. აწ იყავ წინაშე ჩუჭუნსა პატივცემულ, ვითარცა ერთი მაწოვნებელთაგანი შვილთა ჩუჭუნთაჲსა! და უკეთუ განკურნო მთავარი ესე, ფრიადი სიმდიდრე მოგანიჭოთ შენ და იყო ყოველთა

1-31 სტრ., 25

მიერ სახელოვან დიდსა ამას ქალაქსა შინა.“ ხოლო ნეტარმან ნინო მიუგო და ჰრქვა: „შენ, მეფეო, უკუნისამდე ცხოვნიდი სახელითა ოვფლისა და ღმერთისა და მაცხოვრისა ჩუჭუნისა იესოვ ქრისტესითა, რომელი იგი არს შემოქმედი ცათა და ქუჭყანისაჲ და ყოველთა და ბადებულთა, რომელმან აურაცხელითა მოწყალებითა მისითა გამოგი ბრწყინვოს ნათელი გულისკმის-ყოფისაჲ შენ შორის, მეცნიერებად ღუთაებისა მისისა, რომელი იგი მარალთა შინა არს და მდაბალთა ხედავს, რომლისა ჯელთა შინა არს ცხორებაჲ და სიკუდილი ყოველთა ცხოველთაჲ და ვესავ, რამეთუ არს მიახლებაჲ შენი მისსა განგებულებითა უსაზღვროთა სიბრძნეთა მისთაჲთა.“ რამეთუ მადლი იგი, რომელი მკვდრ იყო მის შორის, იტყოდა პირი მისით, რომელი აღსრულებად იყო, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყულისა მიერ „მივჰვინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ჯორციელსა და მონათა და მკვევალთ ჩემთა ზედა; და წინასწარმეტყულებდენ ძენი და ასულნი თქუჭუნნი“ და კმა არს მაუწყებელად მიფენაჲ იგი სულისაჲ და საქმე სასწაულთაჲ, ოდეს ესე არა არს მამაკაცისა, გინა დედაკაცისა, არამედ რომელიცა ჭეშმარიტებით და ერთგულებით ჰმონებდეს უფალსა, მიენიჭების მადლი სულისა წმიდისაჲ და განიყოფს მადლთა თვსთა სიმრავლესა მსგავსად ღირსებისამებრ კაცად -კაცადისა, რომელთა ინებონ მოგებად მისსა საქმეთა მიერ კეთილთა ვითარ იგი

ზოგად ქადაგებდეს მოციქულნი და თანა მარაიმ მაგდანელი და სხუანი წმინდანი დედანი და წინასწარნეტყულებდეს ძენი ჰურიათა წმინდანი იგი მოციქულნი ასულთათანა მათთა ვითარ იგი იყვნეს ასულნი ფილიპესნი და სხუანიცა.

ხოლო ვითარცა ვთქუთ, ნეტარმან ნინო მიუგო რაჲ პასუხი ჯეროვანი მეფესა, ვითარმედ მეფეო, არს ქალაქსა ამას შინა შენსა წმიდაჲ სამოსელი უფლისა და ლუთისა ჩუჭნისა იესოჲ ქრისტესი დაფარულ და მის მიერ იქმნებიან ძალნი ესე და კურნებანი და ძალნი ურიცხუნი ყოვად არიან, და განიკურნოს მთავარიცა ესე სახელი სა მისისა მიერ წმიდისა.

ამისა შემდგომად მოიყვენეს მთავარი იგი წინაშე წმიდისა, რომ

1-31 სტრ., 26

ლისა თანა მოვიდა დედოფალიცა სამოთხესა, მას შინა, ქუჭშე კვპა როზთა მათ სიკვრველთა, შორის ყვავილუანისა მას.

მაშინ ჰრქუა ნეტარმან ნინო მთავარსა: „ უკეთუ გრწმენეს ოვალი იესოჲ ქრისტე, ვითარმედ იგი არს ჭეშმარიტი ღმერთი, განსთავისუფალდე ვნებისა მაგისგან.“ ხოლო მან მიუგო- მრწამს რომელსა შენ ესავ, ვითარმედ შემძლებელ არს გარკურნებად ჩემდა. მაშინ უბრძანა წმიდამან სამგზის თაყუანის ცემად აღმოსავალით და აღსარებად სახელსა წმინდისა სამებისასა, მერმე მიქცევად დასავლით და სამგზის თქუმად ვიჯმნი შენგან აშმაკო და ყოველთა საქმეთა შენთაგან და შეუდგები ქრისტესა ძესა ლუთისასა. და მყის განვიდა მისგან არა წმიდაჲ იგი სული და განთავისუფლდა ვნებისა მისგან და დაემოწაფა ნეტარსა ნინოს და იქმნა მორწმუნე ყოვლით სახლეულით მისით.

ამისა შემდგომად მცირედნი რაჲ დღენი წარჰჰედეს, თვით თავადი მეფე განვიდა ნადირობად დღეთა ზაფხულისათა მუხრანით კერძო და მოვლო სანახები იგი და მირავიდა მთასა ზედა თხოთისასა, რათა მოიხილოს კასპი და უფლის ციხე, მაშინ განგებითა ზეგარდამოდთა კაცთმოყუარისა მეუფისაგან პავლესებრ მოინადირა და მეყსეულად ბნელითა შეპყრობილ იქმნა და დაცემულ და ვერ შემძლებელ სლვად, რამეთუ თანამონადირენი იგი მისნი მცხინვარესა მას ნათელსა ხედვიდეს ჩუჭულულებისაებრ და ვიდოდეს. ხოლო მეფე დაშთომილ იქმნა, (შეპყრობილი) საკრველითა სიბრმისაჲთა და ზარტეხილ იქმნა და წარიწირა სასოებაჲ ცხორებისაჲ. ხოლო ღმერთმან წყალობის მოხვდა თვსგან და იტყოდა: „აჰა ესერა ვხადე არმაზს და ზადენს და არა ვპოე ლხინებაჲ! აწ შეურდე ჯვარცმულსა მას, რომელსა ქადაგებს

უცხოოდ იგი დედაკაცი და ჰყოფს სახელითა მისითა მრავალთა კურნებათა.“! მეყსეულად სიბნელე გონებისაგან განაგდო, ჳმა იყო და თქუა: „ღმერთო ნინოდსო! რომელი ხარ ჳქემმარიტი ღმერთი! განმინათლე ბნელი ესე ჩემზედა მოხუჭული და გამომიბრწყინვე ნათელი, რათა აღვიარო სახელი შენი წმიდად და გადიდებდე შენ.

ესე რად თქუა ყოვლად სახიერმან მან და მოწყალემან რომელი

1-32 სტრ., 27

მარადის ეძიებს ღონესა ცხორებისა ჩუჭნისასა, გამობრწყინვა ნათელი მის შორის და მსწრაფლ ბნელისა მისგან განთავისუფლდა. მეყსეულად აღდგა და აღიპყრნა ჳელნი აღმოსავალით, ღაღადყო და თქუა: „ჳქემმარიტად შენ ხარ ღმერთი ჳქემმარიტი, შენ ხარ ღმერთი ღმერთად და უფალი უფლებათად, რომელმან შეჳქმნენ ცანი და ქუჭყანა, შენ აღგიარებ, შენ თაყუანისცემ, რომელმან მიჳსენ ბნელისა ამისგან, და მრწამს, რამეთუ გინდა ჳსნად ჩემი! აღვიარებ სახელსა შენსა წმიდასა და თაყუანისვსცემთ პატიოსანსა ჯუარსა შენსა!

ამისსა შემდგომად წარმოემართა სამეფოდ ქალაქად თჳსა და მოეახლა გამოვიდა ყოველი ერი, სიხარულით მიგებებად მისა და მათ თანა დედოფალი ნანა, რამეთუ ესმინა პირველ მას ზედა მოხუჭული იგი სიბნელე და აწ ხედვიდეს დიდებულსა მას საკვრველსა სიხარულითა და სარწმუნოებითა და ბრწყინვალებითა სახედველთადათა ერთბამად შემკულსა, და განკვრვებულნი ადიდებდეს ღმერთსა ნინოდსა. და ვითარცა შემოვიდა მეფე პალატად, ჳმა ყო და თქუა: „სადა არს უცხოოდ იგი დედაკაცი და დედად ჩემი, რამეთუ ღმერთსა რომელსა იგი ქადაგებს, იგი არს ჳქემმარიტად მჳსნელი ჩემი! და ჳრქვეს, ვითარმედ ილოცავს ჩუჭულებსაებრ მაყუალთა მათ შორის. მეყსეულად ღირსსა მას საკვრველებისასა და ქადაგებს ჳქემმარიტებისასა ნინოდსთანა მიისწრაფა და აღიარებდა ჳმა მაღლად და იტყოდა: „მრწამს ამიერიტდგან, მოციქულო ჳქემმარიტისა ღუთისაო, ვითარმედ იგი არს ჳქემმარიტი ღმერთი, რომელსა შენ ჳქადაგებ, და მას ვესავ და მას თაყვანისვსცემ.“ და ევედრა, რათა უჩვენოს სახე ეკლესიისად. ხოლო ახალმან მან ბესელიელ, ხუროთ მოძღურებისა სიბრძნითა აღვსებულმან და მისისავე მაღლისა ღირს ქმულმან, საღმრთო იგი ტამარი გამოუსახა. და ვითარ იგი გამოუსახვიდა, ერნი აშენებდეს და გასრულდა ტამარი იგი სახელსა ზედა ყოვლად წმიდნისა ღვთის მშობელისასა, ვითარცა ასწავა ნეტარმან ნინო. და კვალად უბრძანა მეფემან აღშენებად სხუა ტამარი შორის სამოთხესა მას მისსა სახელსა ზედა ოჯფლისა ჩუჭნისა იჳ ქრისტესსა, სადა იგი მდგომარე იყო კვპაროზი იგი საკვრველი ზედა ყუავილუანსა მას სულნელ-

სა. და ვითარცა შურებოდა ყოველი იგი ერი მოსწრაფედ, უბრძანა

1-32 სტრ., 28

მოკუჭთად ხე იგი შუჭნიერი კვპაროზი და შექმნა სუჭტად და აღ-
მართებად შორის ტაძრისა.

ამიერითგან აქა მელოდენ სიტყუად ესე და თქუჭნ ისმინეთ, კე-
თილნი მსმენელნო, და უპირატეს წარმოგითხრა უპირატესისა მის-
თვს დასასრულისა და საანჯმნო ვერ ჭემმარიტებად საქმისადა ყოვლად
ჭემმარიტისა მისთვს და საცხოვრებელისა და თავისა კეთილთადასა,
საწადელისათვს.

რამეთუ გარდამოჭდა რად ქუჭყნად მაღალი იგი წყალობი-
სათვს კაცთადა ნათესავისა და შეიმოსა ბუნებადა ჩვენნი და იქცე-
ოდა ჩვენ შორის ღმერთი და კაცი ორითა ბუნებითა და აღას-
რულებდა ნიშთა მათ უაღრეს ბუნებისათა, ყოველთა მათ შინა ჟა-
მთა ოცდაათ სამ მეტთა წელთასა, ამისთვს ყოვლად უკეთურნი
იგი და ყოვლად ბორგნეულნი კრებულნი ჰურიათანი უფროდასად
მღდელთმოდლუარნი და მწიგნობარნი მათნი განიხარებდეს და გა-
ნიპოებოდეს შურითა და ენება დადუმებადა და დაფარვად დაუფარველი
იგი, რათა მისცენ დავიწყებასა, რომელი მაღალ არს და დიდებულ
უკუნისამდე.

ხოლო იყვნეს სამღვდელონი ტომნი და წარჩინებულნი ერნი
ჰურიათანი, რომელნი მკვდრ იყვნეს მცხეთას, რომელთადა წესი იყო
წლითი-წლად აღსვლვად იერუსალიმად აღსრულებადა პასექისა მათ
ყოველთა თანა და სიტყვს ყოფად ერთბამად სჯულისათვს მოსესისსა,
რათა არადა სადადათა დაიქსნას იგი. ხოლო ოდეს ჯერ უჩნდა ღმერთსა
და მაცხოვარსა ჩუჭნსა ქრისტესა ქსნადა ჩუჭნი ვნებითა მათ ჯვარი-
სადათა და მოახლებულ იყო განგებულებადა იგი აღსრულებადა, უფროდას
აღაბორგებდა ეშმაკი ნებისყოფელთა მისთა ჰურიათა და მიუწერეს
ჰურიათა მიმართ მცხეთისათა იერუსალიმით, ვითარმედ კაცისა მის
მიერ, რომელსა ჰრქვან ი~ჯ. განქარდა სჯული მოსესი და დაიქსნ-
ნეს ყოველნი წესნი ჩუჭნნი და კნინდა ყოველი სოფელი შემდგომილ
არს მისდა. აწ მოვედით და შეგუჭწიენით ჩუჭნ კაცნი ბრძენნი და
სჯულის მეცნიერნი და აღვასრულოთ მცნებადა ღვთისადა და მოსესი
მაშინ გამოარჩიეს ელიოზ მღდელი, რომელი იყო შვილი სამღდე
ლოთა ტომთადა, კაცი ბრძენი და მეცნიერი, და სხვანი მისთანა და

1-32 სტრ., 29

წარგზავნენ მცხეთელთა წოდებასა მას მღვდელთმოდლუართასა იჭრუ-

სალიმად. ხოლო იყო დედად ელიოზისა მოხუცებული და ღთუის მსახურ, დედაკაცი ფრიად ბრძენი და გონიერი და კვალად იყო ასული მისი და ელიოზისი ქალწული შემკული სათნოებითა და ღუთის-მოშიშებითა.

წარგზავნიდა რად დედად ძესა თვსსა, მისცა მოკითვად ამცნებდა და ეტყოდა: „შვილო აჰა ესერა წარხუალ დღესასწაულსა ამას წოდებასა და წესსა სჯულისასა და მოხუალ იწრუსალიმად, განეკრძალე ფრიად და რომელსა იგი ზრახვენ ბოროტსა მღვდელთმოდღუარნი და ფარისევლნი კაცისა მისთვის მართლისა, ნუმცა შერთულ არს სიტყუად და ცნობად შენი მათ თანა, რამეთუ იგი არს მოსწავებული წინასწარმეტყულთაგან და საიდუმლოდ, დაფარული ჰურიათაგან და წარმართთა, ცხორებად საუკუნოდ.

და კვალად დაი იგი მისი ქალწული, ვითარცა მისცემდა მოკითხვასა წარგზავნისასა ძმასა თვსსა ელიოზს, ევედრებოდა სურვილითა გულისადათა და ეტყოდა: „ძმაო სასურველო! ღირს იქმნები შენ ხილვად კაცისა მის მართლისა რომელსა ჰრქვან იჲ და ნეტარ ხარ შენ! ხოლო გევედრები შენ, რათა რომელსაცა რასმე შეხებულ იყვნენ ჳელნი მისნო წმიდანნი, ანუ თუ მახლობელ სამოსელთა მისთა ქმნილ იყოს, მოიღე შენ თანა ფრიად საწადელად ჩემდა.“ ეს რად თქუა, წარგზავნა მშვიდობით.

და ვითარცა მიიწია ელიოზ იწრუსალიმად, შეკრებულ იყო შესაკრებელი იგი უსჯულდ და დაემტკიცა ჳუარცმად მჳსნელისად. ხოლო არა სადა ეზიარა განზრახვასა მათსა ელიოზ, ვითარცა იგი მოელო მცნება დედისაგან თვსისა, არამედ შორს დგა იგი და მისთანანი, ვითარცა იგი წერილ არს სახარებასა იოანეს თავსა-, იყვნეს ვინმე წარმართთაგანნიცა აღმოსრულთა მათაგანნი რათა თაყვანისსცენ დღესასწაულსა მას, ესენი მოვიდეს ფილიპესსა, რომელი იყო ბეთსადადათა გალილედათ და ეტყოდეს მას: „უფალო გუნებავს იჲსი ხილვად.“ მივიდა ფილიპე და ჰრქუა ანდრიას. და მოვიდეს ანდრია და ფილიპე და ჰრქუეს იესოს.“ ესენი იყვნეს ელიოზ და მისთანანი წარმართთაგან მოსრულნი.

1-32 სტრ., 30

ხოლო ვითარცა აღესრულა ნეფსითი იგი ვნებად მაცხოვრისად და ვითარცა წერილ არს „განიგდეს წილი სამოსელსა ზედა მისსა.“ რომელი იგი იყო უკერველ, ზეით მოქსოილ, - ესე ხოლო მოითხოვა და თვსად მოიღო ელიოზ და მისთანა დაჰკრძალა. ხოლო ეჰა დიდებული და საკვრველი სასწაული და ჳემმარიტად საღმრთოსა მოქმედებისა, რამეთუ დღესა მას და ჟამსა, ოდეს ჳუარსა აცუეს მეუფე

უსჯულოთა მათ მიამთხვეს კუჭერი ლურსმარსა ჳელთა მათ სა-
უფლოთა ბოროტმან მან მტარვალმან ადგილსა გოლგოთისასა,
მასვე ჟამსა მიიწია ყურთა გულისათა დედასა ელიოზისსა მცხეთას
და ჳმა ყო ძლიერად აღძრულმან სულისა მიერ და თქუა: „ამიერით
გან მშვიდობად თქუწნდა, მეფობაო ჳურიათაო, რამეთუ მოჳკალით
მოსრული ჳორცითა მაცხოვრად და იქმენენით მტერ შემოქმედისა!“
და ამას ზედა შეისუწნა მასვე ჟამსა. არათუ იყო ღა მაშინ მეფობად
ჳურიათად, რამეთუ ადრევე დაჳსნილიყო ტყუწნვითაგან ბაბილოვნი-
სადთ, არამედ ვითარცა იგი უბრძანა მაცხოვარმან: „აჳა ესერა დაე-
ტეოს თქუწნგან სახლნი თქუწნი ოჳრად“- სრულიადსა მას წარყმე-
დასა მათსა მოასწავებდა, ვითარ იგი ყოველი აღესრულაცა,- მუნვე
დღესა მას და ჟამსა ვნებისა მისისასა მოსცა, წინასწარმეტყუწლებითი
იგი სიტყუად საკვრველსა მას დედაკაცსა, მათსავე ნათესავსა უმეტე-
სად საკდემელად უგუნურებისა და სიბრმისა გულთა მათთაღსა.

ამისსა შემდგომად წარმოვიდა ელიოზ იწრუსალიმით და წარ-
მოიღო კუართი იგი საუფლოდ მისთანა. და მორავიდა სახიდ თჳსსა
ქალაქად მცხეთად, ესმა რამეთუ დედად მისი აღსრულებულ იყო, და
დად იგი მისი ქალწული მიეგება და მოეხზა ქედსა მისსა. ხოლო
ელიოზ გამოიღო კუართი იგი საუფლოდ და მისცა მას და ჳრქუა-
აჳა ესერა, რომლისათჳს, იგი სურვიელ იყავ! მიიღე კუართი მისი და
განხარე!“ და ვითარცა მოუღო ჳელთაგან ელიოზისთა კუართი იგი
ოჳფლისად დედკაცმან მან, და ვითარცა შეკეცილი იგი მტკიცედ
ჳელთა აქუნდა, შეიმთხზა პირსა და შეიტკბო გულსა ზედა თჳსსა და
მსწრაფლ აღმოუტევა სული. მაშინ იქმნა შფოთი დიდი ქალაქსა შინა
და შეძრწუნდეს ყოველნი უცხოღსა მისთჳს სასწაულისა და ენება მის ჟამისა
მეფესა ამაზაერს (გამოღებად) მისგან კუართი მისი და დაჳჳსნა იგი

1-32 სტრ., 31

ზარმან მან მყოფმან და მკუდრისა მის მიერ შეტკბობითა და
მაგრიად ჳელთა ჳყრობამან. ხოლო ელიოზ შიშითა და ძრწოლითა
შეჳყრობილმან დაფარა მიწასა საყუარელი იგი და წმიდად დად თჳსი
და ეგრეთ ჳელთა აქუს სამოსელი იგი ო~ა, რომლისა ადგილი
საცნაურ არს და ჩუწნდა ცნობითა ცნობილ შემდგომთა ნათესავთა მიერ
ელიოზისთა და იგი არს ჳემმარიტად, სადა იგი ხე იგი კჳპაროზი
მდგომარე იყო, ქუწშე მისსა იყო სულწელებად ყუავილთად, რომელი
იგი სამარადისოდ ყოველთა მიერ იცნოსებოდა.

ხოლო აწ მოვიდეთ პირველსავე სიტყუასა, სადა იგი დაუტევეთ.
და ვითარცა მოჳკუწტეს ხე იგი, გამოსცა სულწელებად მოითხრობელი
და შეჳმზადეს სუწტად, ვითარცა ბრძანებულ იყო მეფისა მიერ, და
ენება აღმართებად არა მასვე ადგილისა, რომელსა მოჳკუწდეთეს არამედ

სხუასა ერთკერძოსა ტაძრისასა. მოვიდა მეფე და ყოველი ერი და ფრია-
დითა გულსმოდგინებითა და ღონიერებითა ჳელყვეს და ყოვლად ვერ
უძლეს შეძრვად, რამეთუ საღმრთოდ ძალი აყენებდა მათ. და მოიწია ღამე
და წარვიდა მეფე და ყოველი ერი გულკლებულნი სახიდ თვისსა უც-
ხოდა მისთვის სასწაულისა. ხოლო ნეტარი ნინო დადგა ღამესა მას
მახლობელად სუჭტისა მის, მისთანა სიდონია, ასული აბიათარისი,
და შროშანა და სხუანი ათნი დედანი მორწმუნენი და განიპყრნა
ჳელნი აღმოსავალით და ილოცვიდა მყუარ ჟამსა ცრემლითა
მჳურვალითა. და ვითარცა შუაღამე იქმნა რეცა მთანი იგი იძრვო-
დეს და განიპებოდეს და სიღრმედ დაინთქმოდეს, რომელსა
ზედა იყვნეს პირველ კეპნი იგი, რეცა მდინარე დიდი მტკუარი
აღმოვიდოდა და წარჳრღვნიდა ქალაქსა მათსა, რამეთუ იგი სასწაუ-
ლი იყო წარწყმედისა მათისაჲ და კაცთა ცხორებისაჲ. ხოლო ღირ-
სი ნინო დგა ღამე ყოველ ლოცვითა და ვედრებითა და ცრემლთა
მდინარითა სუჭტსა მას ზედა. და ვითარცა მოეახლა ცისკარი, მიე-
რულა დათა მათ ყოველთა; ხოლო სიდონია და შროშანა მხოლოდ
მღვდარე იყვნეს წმიდისა მის თანა, და იხილეს ხილვაჲ საშინელი,
რამეთუ აჳა ესერა ზედა მოადგა ჳაბუკი ერთი ნათლითა შემოსილი,
ყოვლად ცეცხლითა მოზღარდნილი და ჳრქუნა რამე წმიდასა მას
სიტყუანი სამნი. ხოლო ნეტარი ნინო დავარდა პირსა ზედა

1-32 სტრ., 32

თვისსა ხოლო ჳაბუკმან მან მიყო ჳელი სუჭტსა მას და აღილო სი
მაღლედ და სიდონია, ფრიად ზარგანზხდილმან, ჳრქუა წმიდასა,
ვითარმედ რაჲ არს ესე, რომელსა ვხედავთ? ხოლო მან ჳელი
განუყარა და უბრძანა განშორებაჲ. და აჳა ესერა იხილებოდა
საკვრველება განსაკრთომელი და ჳემმარიტად მოქმედება ძა-
ლისა საღმრთოსა, რომელ შთამოვიდოდა სვეტი იგი დამარ-
თებით ჳარისჳსავე თვისსა და ზედა ძირთა, რომელთა მოკვეთი-
ლიყო. და ვითარცა მოეახლა, ვითარ ორ კაც ოდენ, დაადგ-
რა დამოკიდებულად და გამოსცემდა ბრწყინუალებასა და
სულნელებასა მოითხრობელსა.

და ვითარცა იქმნა ცისკარი, გამოვიდა მეფე ურვეუ-
ლი პირველისა მისთვის ვერ შეძრვისა სვეტისა, მიმოვიდო-
და სამოთხესა შინა თვისსა. და იყნოსა რა სულნელება იგი,
მოვიდა ზედა ადგილისა მას სვეტისასა, იხილა ხილვაჲ სა-
შინელი და ნათელი, ვითარცა ელვაჲ, რომელი აღიწეოდა
ცადმდე. და იწყო სიმრავლემან ერისამან შემოკრებად უც-
ხოსა მისთვის სახილავისა და შემოკრება პალატი და ყოველი
ქალაქი და ცრემლითა დაალტობდეს ქვეყანასა და ვიდრე იგი
ხედვიდეს ყოველნი, ნათლითა შემოსილი იგი სუჭტი მცირედ

მცირედ შთამოვიდოდა და ძირთავე მისთა ზედა დაემყარა და მტკიცედ შეეძერწა, ყოვლითურთ შეუხებელად ჯელისაგან კაცთასა და აღივსნეს შიშითა და სიხარულითა მიუწდომელითა მეფე და ყოველი ქალაქი და ერთ ჯმობით ადიდებდეს ღმერთსა ნინოსსა, მოქმედსა საკვრველებათასა. მიერთგან სასწაულნი და ნიშნი ურიცხუნი აღესრულებოდეს და აღესრულებიან ვიდრე მოაქამდე სუჭტისა მის მიერ ცხოველისა. მას ჟამსა იყო ვინმე ჰურია ბრმა შობითგან; ესმეს რა სასწაულნი იგი დიდებულნი, რომელნი აღესრულებოდეს სუჭტისა მის მიერ, მოვიდა სარწმუნოებით წინა ძლომითა სხუათათა და, შეეხო რა მყის იქმნა მხედველ და წარვიდა სახედ თვსა და ადიდებდა ღმერთსა.

კუალად სხუა ყრმა იყო ძე მთავრისა წარმართისა, მრ-

1-32 სტრ., 33

ვალ ჟამ მდებარე ცხედარსა ზედა, რომლისა ასონი უძრავ ქმნილ იყვნეს და სრულიად დაქსნილ ბოროტისა ეშმაკისაგან; ესე მოილო დედმან მისმან წინაშე ნათლით შემოსილისა მის სუჭტისა და სარწმუნოებით ევედრებოდა ნეტარსა ნინოს, რათა ილოცოს ძესა ზედა მისსა სიკუდიდ მიახლებულსა და ყოს კურნებაჲ. ხოლო ღირსსა მას შეეწყალა დედაკაცი იგი და დასდვა ჯელი სუჭტსა მას წმიდასა და მერმე შეახო ყრმასა მას მდებარესა და ჰრქუა: „უკეთუ გრწმენეს იესო ქრისტე ძე ღუთისა, ჯორციელად მოსრული ცხორებად სოფლისა, განიკურნო გვემულელებისაგან შენისა.“ ხოლო ყრმამან მან ჯმა ყო და თქვა- „მრწამს, წმიდაო ღუთისაო და თაყუანის ვსცემ მას.“ მაშინ უპყრა ჯელი და აღადგინა იგი და ყოვლითურთ განკურნებული მისცა დედსა თვსსა. და ყოველნი რომელნი მოვი-

დოდეს სარწმუნოებით თვთო სახეთა სენთაგან შეპყრობილნი, მსწრაფლ განკურნებულნი წარვიდოდეს სახიდ თვსად და ადიდებდეს ღმერთსა.

და დაეცა შიში დიდი მეფესა და ყოველსა ერსა ურიცხუთა მათთვს სასწაულთა, რომელნი აღესრულებოდეს დღითი-დღე. და რამეთუ საზარელ იყო ბრწყინვალეებისა მისგან ზეგარდამოსა ყოვლად საკვრველისა სუჭტი იგი. მაშინ შექმნა გარემოს სვეტისა მის საბურველი მეფემან და დაფარა ხედვისაგან და ეგრეთ გარემესა მას საბურველსა შეეხებოდიან ერნი და ყოველნი განიკურნებოდიან ვითარითაცა შეპყრობილ არიან უძლურებითა.

და სარწმუნოებად მოსლვისა და ცნობად ჭეშმარიტებისა მირიან ქართველთა მეფისა პირველ ათორმეტისა წლისა წყალობით მოხედვა ყო ღმერთმან ყოველსა საბრძანებელსა ზედა ჰრომთა და ბერძენთასა, ზეგარდამოდთა წოდებითა ჰრწმენა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ჭეშმარიტად ღმერთად და მაცხოვრად მეფესა კოსტანტინეს და დედასა მისსა დედოფალსა ელენეს და ნათელ ილეს სახელითა მამისათა და მისათა და სულისა წმიდისათა მათ და ყოველმან პალატ-მკედრებმან მათ-

1-31 სტრ., 34

მან ამალღებითგან უფლისა ჩუწნისა ისეო ქრისტესით სამას და მეათერთმეტესა წელსა და განიხარა ყოველმან ერმან მორწმუნეთამან და ამალღდა ჰრქუა ქრისტეანეთა რომელი დიდ მან მან და პირველმან ქრისტეანეთა შორის მეფემან მსგავსად წმიდათა მოციქულთა იღვაწა და აჩვენა მჭურვალებად ღვთის მსახურებისათვს და წარავლინა დედა თვსი ელენე იწრუსალი მად ძიებად პატიოსნისა ჯვარისა რომელიცა ჰპოვა მან ჯერ ჩინებითა ღუთისათა და აღაშენნა ტაძარნი საუფლონი და შეამკუნა და ადიდნა წმიდანი იგი ადგილნი და კუალად აღმოვიდა სამეუფოდ თვსსა ვინაითგან ყოველთა მეუფისა და შემოქმედისა მიერ აღესრულებოდა განგებულებად ესე ცხორე ბისათვს ჩვენისა შეუძლებელ იყო ნაკლულეევანება რადასამე და დაფარვა სახსრად ჩვენდა მის მიერ მონიჭებულთა განგებულებისა მისისა საიდუმლოთა რომელ ჟამსა მას რომელსა ინება გამოცხადებად და აღმობრწყინვებად ქუწყანით ცხოველს მყოფელი და პატიოსანი ჯუარი რომელსა ზედა მან თავადმან კელნი განიპყრნა კელითა კეთილად მორწმუნისა დედოფლისა ელენესითა მასვე ჟამსა შინა მცხეთას მიწასა შინა დაფარული იგი პირველ სამას ოცდა ათთა წელთასა წმიდა სამოსელი მისი ურიცხუთა სასწაულთა და ნიშთა მიერ გამობრწყინვა რომელსა ზედა სუჭტისა სახედ ნათელი ბრწყინვალე ზეგარდმო იხილვებოდა

და ვითარცა დასაბამ მორწმუნეთა მეფეთა შორის იქმნა რომთა და ბერძენთა ზეგარდმო წოდებითა დიდი კონსტანტინე ერეტვე მასვე ჟამსა იქმნა დასაბამ ქართველთა მეფეთა შორის ზეგარდამო განსწავლული კეთილად და სათნოდ მიერ მორწმუნე მეფე მირიან.

ხოლო ვინაითგან განსრულდა შენება წმიდათა მათ ეკლესიათა და არღარა იყო ნაკლულეევანებად გარნა მღდუელნი ხოლო წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად სწავლითა და მოძღუარნი და მასწავლელნი ღუთის მსახურებისანი ხოლო

1-32 სტრ., 35

მკურვალემან მან ტრფიალმან ლუთის მსახურებისამან კოსტან ტინე ისწავა რა მიზეზი სათხოველისა მოციქულნი იგი მრავალსა პატივსა სიყუარულისასა ღირსყუნა და მიუვლინა მათ ევსტათი ანტიოქელ პატრიაქი ფრიადითა პატივითა კაცი სარწმუნო და სიბრძნითა და ცხორებითა განშვენებული რო მელი ნათლითა მართლმადიდებლობისათა ყოველსა სოფელსა ნათობდა რამეთუ იყო მას ჟამსა ნიკეას წმიდასა მას და დიდებულსა კრებასა სამას ათვრამეტა წმიდათა მამათასა რო მელთათანა დაამტკიცა მართალი სარწმუნოება და დაამჯუნა საღმრთოსა მას ბუნებასა ზედა განკუჭთილებისა შემომღებელნი ესე ფრიადითა ძღუნითა გამდიდრებული მასწავლელად სჯულისა და წესთა და მოძღურებად ლუთის მეცნიერებისა მეფისა მიმართ ქართველთასა მოივლინა და ვითარცა შემოვიდა წმიდა იგი პატრიაქი სანახებსა ქართლისასა და თანა აქუნდეს მელი ცხორებისა და ხატი მაცხოვრისა და ყოვლად წმიდისა ლუთის მშობელისა და მოეგება მეფე და მთავარნი მისნი და ყოველი სიმრავლე ქალაქისა და ჯეროვნითა პატივითა დიდითა აღიყვანეს პალატად და მიიღეს კურთხევა და მეფემან და დედოფალმან და ყოველმან ერმან ხოლო პატრიაქმან უბრძანა წინა განმზადებად ნათლისღებისათვის მოვიდა ღირსი ნინო დედა და მიიღო კურთხევა პატრიაქისაგან და მანცა ითხოვა ლოცვა და ჯეროვანი სიმდაბლით და ქადაგად და მოციქულად და სანატრელად უწოდა და მისცა წიგნი ელენე დედოფლისა და მოწერილი ნეტარისა ნინოსთანა ყოვლად შუწნიერი და შემკული და ბრწყინვალე ქებათა და შესხმათა მიერ მახარებელად და მოციქულად წოდებითა და ნაწილი ძელისა ცხორებისა და ხატი ქრისტეს ლუთისა ჩუწნისა და ყოვლად წმიდისა დედისა მისისა რო მელნიცა წარმოეგზავნეს დედოფალსა ელენეს ღირსისა ნინოსსა.

ამისსა შემდგომად განმზადეს სანათლო და ნათელიღეს მეფემან და დედოფალმან შვილითურთ მათით და ყოველთა

1-32 სტრ., 36

მთავართა მათთა და ურიცხუმან სიმრავლემან ერისამან სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ჳელითა პატრიაქისათა და, შემდგომითი შემდგომად ნათელსიღებდეს ურიცხუნი სიმრავლენი წარმართთანი, ესე რა იქმნა.

ამისა შემდგომად აკურთხნა ეკლესიანი იგი მათ მიერ აღშენებული და დაამყარნა საკურთხეველნი და ყო სატფურე ბაა და დაასხნა ჯელნი ღირსსა იოანეს მთავარ- ებისკოპოზად საყდარსა ზედა ყოვლად წმიდისა ღუთის-მშობელისასა. და უკურთხნა მღდელი და დიაკონნი და მიუთხრნა მეფესა და ერსა განგრძობილად სწავლანი საღმრთონი და განიხარა მეფე მან და ყოველმან საესებამან მორწმუნეთა ერისამან. ხოლო მკვდრ იყვნეს მცხეთას შინა ფრიადნი ერნი ჰურიანთანი, რომელთა მთავარ და მღდელთ-მოდღუარ იყო აბიათარ, რომელი ზემო ვაკსენეთ. მოი ყვანა იგი მეფემან წინაშე პატრიაქისა და ჰრქუა მას, ვითარმედ „ვი თარცა ესერა ხედვენ თვალნი შენნი, გამობრწყინდა ჩუწნ ზედა ნათელი ჭემმარიტებისად და აღმოგვყვანნა ბნელისაგან ნათლად და გვკსნნა მონებისაგან ეშმაკისა, აღვიარეთ ჭემმარიტი ღმერთი და ნათელ გვლების სახლითა წმიდისა სამებისადთა და შედგომილვართ მცნებასა და მოძღურებასა წმიდათა მოციქულთა და ქადაგთა მისთასა. აწ რად გნებავს თქუწნ, ჰურიანო? მოიქცევით და აღიარებთა ჭემმარიტსა სარწმუნობასა ჩუწნ თანა? ანუ ჰგიეთ თქუწნსავე სიცოფესა ზე და, რამეთუ შენ წინამძღუარ მათდა!“ ხოლო აბიათარ ჰრქუა მეფესა: „მე მეფე, თავისა ჩემისათვს ამას მიგიგებ, რამეთუ, ვითარცა უწყიან მთავართა შენთა და ყოველმან ამან ქალაქმან, ნათესავით ვარ ბენიამინისი და სჯულითა მოსეს მიერთთა სწავლილი და ფრიად წურთილ წერილთა წინასწარმეტყუწლთასა, მეცნიერ ყოველთა მათ მიერ ქადაგებულსა, რომელსა აწ ვხედავ აღსრულებულად; და იგი ყოველნი ამისთვს წამებდეს, ვითარმედ შეცვალებად იყო სჯული და სჯულის მდებელი და მოსლვად იყო ღმერთი ქუწყანად, მსგავად კაცთა და წყალთა მიერ ნათლის ღებად, და სამარედ დადებად, და აღდგომად მესამესა დღესა. ხოლო მე პირველთა მათ უგუნურებათა მამათა ჩუწნ თასა ვსტიროდე. რამეთუ განარისხეს შემოქმედი და ქმნეს ბოროტი

1-32 სტრ., 37

წინაშე მისსა, და გამოახუნეს თავნი მათნი და სრულიად წყალობისაგან ღუთისა, რომლისათვს წარწყმდა საკსენებელი ჩუწნი და მოვეცენით მონებად და ჰრომთა დაიპყრეს ქუწყანად ჩუწნი და მთავრობად და ჩუწნ განვიბნიენით ყოველსა სოფელსა. ხოლო მიკვრდა, მესმოდა რა შედგომად მოციქულთად ქრისტესი და ესრეთ სიკუდილი მისთვს; და მივემთხვე ებისტოლესა ნათესავსა ჩუწნისა ყოვლად ბრძნისა პავლესსა და გულის-ჟმა ვყავ ყოველი იგი წერილი მათ შინა და მოველოდი გამოკსნასა მოსაწყინებელსა ამისაგან სჯულისა ჩუწნისა და არავინ იყო მოძღუარ და მასწავლელ ჩემდა. აწ ოდეს ინება ღმერთმან და მოავლინა ქუწყანასა ამას წმიდად ესე და საკვრუწლი დედაკაცი

ნინო და განვიცადეთ მოღუაწებანი მისნი მრავალჟამეულნი მაყუალთა მათ შორის და ვიხილენ სასწაულნი, უაღრესნი ბუნებისანი, რომელთა იგი თქუწნცა მეცნიერ ხართ, მეფეო! იქმნა მოწაფე მისა პირველად ასული ჩემი და შემდგომად მე და ყოველი ნათესავი ჩემი სწავლათა მისთა შედგომილ ვართ, და აწ ესერა მეცა მზა ვარ ნათლისღებად სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა.“

და ვითარცა ესე ყოველი წარმოთქუა აბიათარ, განიხარა მეფემან ფრიად და პატრიაქმან ნათელსცა აბიათარს და ყოველთა ნათესავთა მისთა. და კვალად სახლისა და ტომისა ელიოზისთა, რომელნი იპოვნეს, სიხარულით ნათელილეს: და კვალად სხუასა ორმეოცსა კაცსა ჰურიასა, რომელნი მოვიდეს სარწმუნოებად. ხოლო სხუანი იგი ერნი ჰურიათანი აღიმრნეს აბიათარს ზედა და დასცეს ხე იგი სულნელთაჲ, რომელი განაშუწნებდა ბაგინსა და მათსა და დაარღვწს ტამარი იგი მათი და დაუტევეს და განიბნივნეს თვნიერ მათდა ბრანგიანთასა, რომელნი მოინათლნეს, და მეფემან მიუბოძა მათ დაბაჲ სამკვდრებლად, რომელსა ეწოდების ციხე დიდი და იყუნეს წინაშე მეფისა საყუარელ და ჭემმარიტ ქრისტეანე.

ხოლო წმიდამან პატრიაქმან ევსტათი აღასრულა რა, რაჲ იგი ჯერ იყო, და დაამტკიცა ქუწყანა მართალსა სარწმუნოებასა და განუწესნა ებისკოპოსნი და მღდელნი და დიაკონნი და ასწავა წესი ეკლესიისაჲ და ღუთის მსახურებაჲ ყოველსა ერსა,- იჯმნა მეფისაგან და წარემართა ქუწყანად თვსსა. ხოლო მეფემან ქართველთამან და სვნ-

1-32 სტრ., 38

კლიტიკოსთა მისთა მოუძღუნეს და განუწესეს პატრიაქსა ანტიოქიისასა შესაწევნელად მოსყიდისა ნივთთა წმიდისა მიჰრონისათა სოფელი ასი და მიერითგან იყვნენ მიმდგომნი ანტიოქელთა პატრიაქსა, და ესრეთ პატივითა დიდითა წარგზავნნეს.

ამისა შემდგომად მოვიდა ჰრომთა დიაკონი და მოილო წიგნი წმიდისა პატრიაქისა პაპაჲსაჲ მეფისა და ყოვლისა ერისა ქართველთაჲსა კურთხევისა მიცემად და ვითარმედ ღირსისა ნინოჲს მიმართ ქებისაჲ და შესხმისაჲ და ლოცვისა და მადლისა მისისა ზიარებად. კვალად აქუნდა წიგნი მთავრისა მის ფრანგთაჲსა, რომელნი მოენათლნეს მამასა მისსა. რამეთუ ყოველნი იგი სასწაულნი და საკვრულლებანი მისმენილ იყვნეს მათდა იწრუსალიმით, ჰრომით და კონსტანტინეპოვლით, რომელი იგი აღწერა მან ყოველივე სმენილი და თვალითა ხილული და წარილო ქუწყანასა თვსსა და ადიდებდა ღმერთსა.

ამისა შემდგომად აღვიდა ნეტარი ნინო მთასა მას, რომელი არს პირის პირ მცხეთასა, წიალ კერძო არაგუსა, რომელსა ზედა შენ არს ეკლესიაჲ ჯუარისა ცხოველისაჲ და მუნ ღამეთა ათევდა ლოცვითა ღუთისა მიმართ და ძირსა მის კლდისასა, რომელ არს მუნ, ლოცვითა წყალი აღმოაცენა, რომელი იგი დღეინდელად დღედმდე დის და მრავალნი სასწაულნი და კურნებანი იქმნნეს წყლისა მისგან მეოხებითა მის წმიდისაჲთა.

ამისა შემდგომად ძიება ყო მთავარ-ეპისკოპოსმან ხე, რათა შექმნეს ჯუარნი და წარგზავნა რევ, ძე მეფისაჲ, და მთავარ-დიაკონი თვისი და წარიყვანნა ხურონი და მოჰკუჭტეს ხე იმიერ კერძო არაგუსა, სადა იგი აღმოეცენა წყაროდ ცრემლითა ნინოდსათა, რომლისა პირველვე სმენილ იყო, რომელი იყო სურნელ და შუჭნიერ და ფრიად ფუცელ დაუცვებელ, და ეგრეთ სრულიად მოიღეს წინაშე სუჭტისა ცხოველისა და ქმნნეს მისგან სამნი ჯუარნი. მაშინ იხილვებოდა სასწაული საკვრულელი, რამეთუ ზეცით გარდამოვიდის ჯუარი ცეცხლისაჲ, შემკული ვარსკვლავებითა ზედა წმიდათა მათ ეკლესიათა და, ვიდრე მოწევამდე ცისკრისა, დადგის დამართებით სუჭტისა ცხოველისა ამაღლებულად.

შემდგომად ამისა განუტევენის ბრწყინვალეზანი ვარსკვლავთანი-

1-32 სტრ., 39

ერთი აღმოსავალით და ერთი დასავალით და თვთ ამაღლდის და კვალად მოვიდის ეგრეთვე და დადგის მთასა მას ზედა, წიალ კერძო არაგუსა კლდესა ზედა მახლობლად წყაროდსა, და განუტევებდის ვარსკვლავთა სახედ ბრწყინვალეზათა, რომელი აღმოსავლისაჲ მიიწეოდა ბოდის, ხოლო დასავლისაჲ თხოთსა, და იგი მეფემან ნათელი თვალთა მიიღო. ესე მრავალ გზის იხილა მეფემან და ყოველმან ერმან და განკვრებულნი ადიდებდეს ღმერთსა.

და უბრძანა მეფემან აღშენებად ეკლესიათა -ერთი კლდესა მას ზედა, რომელსა ზედა ჩამოდგის სახე პატიოსნისა ჯუარისაჲ, და მუნ დასუჭნებად ჯუარი ერთი, რომელნი ქმნეს ხისა მისგან სურნელისა. და უბრძანა აღშენებად ეკლესიათა მთასა ზედა თხოთისასა სახელსა ზედა დიდებულისა მოწამისა გიორგისსა, რამეთუ მუნ მოიღო ნათელი თვალთაჲ, და ერთი ჯუარი დასუჭნებად მას შინა, და ბრძანა ნეტარმან ნინო, რათა ჯუარი ერთი წარგზავნონ ბოდის და უჟარმოს. და დაუსუჭნეს პირველად კლდესა მას ზედა, რომელსა აწ სახელადცა უწოდიან ჯუარი პატიოსანი და ჯუარი იგი ვენაჯისა რქისაჲ, რომელი მოიღო წმიდისა ღუთის-მშობელისაგან არს მას შინა ნაწი-

ლად; ესენი განწესებისაებრ თვთოეულად წარიყვანნა ღირსმან მღდე-
ლმან იაკობ ფრიადითა სიმრავლითა ერისაჲთა საკუმეველთა და სულ-
ნელთაჲთა ლოცვითა და ლიტანიითა დაასუწნა მათ შინა.

ხოლო ურიცხუთა მათთჳს სასწაულთა და საკვრულეობათა, რო-
მელნი აღესრულებოდეს დღითი დღე სუჭტისა მისგან ცხოველისაჲ,
ვერავინ იკადრებდა კართა განხუმად, თჳნიერ დღისა კვრიაკისა და მა-
შინ მღდელნი ხოლო შევიდოდეს მას შინა გალობად და ერი პირის-
პირ მდგომარე ილოცვიდა, რამეთუ შიში და ზარი ფრიადი იყო ყო-
ველთა ზედა.

კუალად წარავლინნა მეფემან და შემოკრიბნა ქვითხურონი და
გალატოზნი და უბრძანა პირველად ერუშეთს დადებად საძირკუჭლი
ეკლესიისაჲ, სადა იგი არს ფიცარი ფერჳთა მქსლენისაჲ. და კუა-
ლად უბრძანა საძირკუჭლი ეკლესიისაჲ მანგლისს.
ესრეთ მჭურვალედ სარწმუნოებითა და მართლ-მადიდებლობისა
აღსარებითა, ეკლესიათა აღშენებითა და შემკობითა ებისკოპოსთა და

1-24 სტრ., 40

მღდელთა მიერ საღმრთოთა მადლითა დღითი-დღე სანატრელი იგი
მეფე წარემატებოდა; ხოლო მსჯავრი სიმართლისაჲ და წყალობაჲ
გლახაკთაჲ პირუჭლითგან დანერგულ იყო მის შორის მოღუაწებითა
ლუთისაჲთა.

არა ჯერ იყო სხუათა ამათცა სამთავროთაა მოუწო-
დებელად დატევებად ესე ვითარისა საშუჭბელისაგან, არამედ ვი-
თარცა მაღლისა რაჲსამე საებგუროდსაგან საჩინომან და ბრწყინვა-
ლემან ნათელმან ხილვას თვისისა ბრწყინვალეებისა შეკრიბნის შორიელ-
ნი მახლობელნი, ეგრეთვე აქა საკვრულეობათა მიერ და მადლთა მის-
თა ელვარებითა ყოვლით კერძო შემოკრებოდეს და სანუკვარსა მას
და სანუაგესა ზედა სულიერსა იმუჭბდეს და ხილვითა და საღმრთო-
თა სიტყუათა და სწავლათა მისთა სმენითა იხარებდეს და განათლდე-
ბოდეს და თვთო სახეთა გუჭმულეობათაგან განკურნებულნი ღმერთსა
ნინოჲსსა ადიდებდეს.

ამისთჳს წარვიდა ნეტარი ესე და თანა წარიყვანნა იაკობ მღდელი
და მთავარ -დიაკონი და ერის მთავარი ერთი ერთ მისითურთ და
დადგა წობენს, და მოუწოდა ყოველთა მთეულთა ჭართალელ
ფხუჭნელთა და წალკანელთა და უქადაგა მათ სარწმუნო-
ებაჲ ჭემმარიტი ქრისტეს ღუთისა ჩუჭნისაჲ! ხოლო იგინი მოხედ-
ვითა მათ ზედა მადლისა ღუთისაჲთა ღმობიერ იქმნეს და დაღეწნეს

კერპნი მათნი და მოიქცეს და ნათელ იღეს ჳელითა იაკობ მღდელი-
სადათა ფრაიდმან სიმრავლემან ერისამან და ჳრწმენა ქრისტე.

ამისსა შემდგომად წარვიდა ერწოს და ჟალეთს და უქა-
დაგა და ნათელსცა ერწო- თიანელთა და მერმე შთავიდა კახეთად და

1-22 სტრ., 41

კაწარეთს და მოიყვანნა სარწმუნოებად კუხნი და სუჯნი; და
გარდავიდა ქველდაბას და მოუწოდა მთავართა კახეთისათა და უქა-
დაგა სარწმუნოებად ქრისტესი. ხოლო მათდა პირველვე უწყებულ იყო
ყოველი იგი სასწაული, რომელი იქმნა და ნათლის- ღებად მეფისაჲ
და მთავართა და ერისა მისისა, და სიხარულით შეიწყნარეს სწავლაჲ
მისი და მოიქცეს და ნათელიღეს ჳელითა მისვე იაკობ მღდლისაჲ-
თა და მუნით მივიდა კხუჭთს და დაბასა, რომელსა ეწოდების ბოდი-
სი და მოვიდა მისსა დედოფალი კახეთისაჲ სუჯი და მისთანა მსა-
ხურნი და მჭედრები და მონათა და მჭევალთა სიმრავლე და უქადაგა
და ასწავა მათ სარწმუნოებად ქრისტესი. და წარმოუთხრნა ცხორები-
სათვს ჩუჭნისა განგებულებისა მისისა სადღუმლინი, ქადაგებანი მო-
ციქულთანი და ყოვლისა სოფლისა მათ მიერ ღუთის მეცნიერებად
მოსლვაჲ. და სუჭტისათვს ცხოველისა და დიდებულთა მათთვს სას-
წაულთა მის მიერ აღსრულებულთა; და მოქცევისათვს მეფისა და ერი-
სა სარწმუნოებად, რომელი ესე მათდაცა სმენილ იყო. ამისთვსცა სი-
ხარულით შეიწყნარა დედოფალმან და ყოველმან ერმან მისმან ქადა-
გებად და სწავლაჲ ნეტარისა ნინოდსი და ნათელიღეს სახელითა მა-
მისაჲთა და მისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და შეუდგა ქრისტესა.
ხოლო ნეტარმან ესრეთ სრულ ყო რაჲ ქადაგებაჲ ჳემმარიტებისაჲ
და აღასრულა სრბაჲ ღვაწლისა თვსისაჲ, ეუწყა სულისაგან, ვითარ-
მედ დაუტეობს სოფელსა ამას და მივალს ო~ისა, მცირედ დასნეულ-
და ბუნებითა ჳორცთაჲთა მასვე დაბასა შინა ბოდისს, მიწერა წიგნი

1-32 სტრ., 42

მეფისა და მისცა დედოფალსა კახეთისასა, სუჯის, რომელსა წერილ
იყო ესრეთ: ი~ვს ქრისტეს მონასა ერთგულსა, კეთილად მორწმუ-
ნესა და აღმსარებელსა წმიდისაჲ სამებისასა და თანა შეერთებულსა
წმიდათა მეფეთასა მეფესა მირიანს გარდამოგივლონენ ო~ნ
ღმერთმან ცვარი ზეცისაჲ, სიმრავლე წყალობისა მისისაჲ და ყო-
ველსა პალატ ბანაკსა და ერსა შენსა იყავნ თქუჭნდა მარადის სი-
ქადულ ჳუარი ქრისტესი და მეოხებაჲ ყოვლად წმიდისაჲ დედისა მი-
სისაჲ. რამეთუ მე აჳა ესერა მოვლე ზოგი ამის ქუჭყანისაჲ და უქა-
დაგე სახარებაჲ ქრისტესი და ვპოვე შეწევნაჲ მის მიერი, რამეთუ
შეიწყნარეს ყოველთა და მოიქცეს ცთომათაგან მათთა და მისცნეს

კერპნი მათნი დასაწუჭლად ცეცხლსა და ნათელ იღეს სახელითა წმი-
დისა სამებისათა და თაყუანისსცემენ ქრისტესა ჭეშმარიტსა ღმერ-
თსა ჩუჭნსა და პატიოსანსა ჯუარსა მისსა. და შენდა ჯერ არს სიხა-
რული და დიდების მოცემა ყოველთა შემოქმედისა ღუთისა, რამეთუ
დღეთა შინა შენთა მოხედნა ო~ნ თვსთა დაბადებულთა, მონა-
ქმნილთა მტერისა მიერ, და აღმოუბრწყინვა ნათელი თვსისა მეცნიე-
რებისად. აწ რომელთა გიხილავს გემოდ სიტკბოებისა მისისად, გი-
ხაროდენ! რამეთუ სუფევასაცა მის თანა ღირს იქმნეთ! დაიცევით
მტკიცედ მართალი სარწმუნოებად წმიდისა სამებისად და ბეჭედი წმი-
დისა ნათელის-ღებისად, რომლითა აღიბეჭდენით, რამეთუ აჰა ესერა
ყოველნი მოივლტიან ღუთივ დაცულისა მეფობისა თქუჭენისა, აღ-
სარებად ქრისტესა და ძიებად სულისა და ჳორცთა კურნებისა და შე-
მდგომითი შემდგომად მიუთხრობდის აღსრულებულთა დიდებულებათა
ღუთისა და სასწაულთა მათ საკვრველთა, რომელნი იხილენით, რა-
თა დღითი დღე აღემატებოდის და განძლიერდებოდის და განმრავლ-
დებოდის სამწყსო ო~ა ქრისტესი; რათა განათლებულნი სულისა მიერ
და ერთ სამწყსო ქმნილნი ერთბამად სცხონდებოდით სოფელსა ამას
და შეზღუდვილნი და დაცვულნი მის მიერ იხარებდეთ და მერმესა
მას საუკუნესა სუფევასა მისთანა იშუჭბდეთ, შუჭბითა მით არღარა
წარმავალითა, არამედ სამარადისოდ დაუსრულებელთა. და რამეთუ მე
აჰა ესერა ვითარცა ერთი სოფლად შემოსრულთაგანი მოვაკლდები
ცხორებისა ამისაგან და შხესა ამას ხილულსა მივეფარები და წარვალ

1-32 სტრ., 43

გზასა მამათა ჩემთასა, ჳსენებულმცა არს საუკუნოდ კეთილთა შინა
ო~ვფლისათა დედოფალი სუჯი, რამეთუ აღიძრა შურიითა საღმრთოდთა
და დამუსრნა კერპნი თვსნი და მოაქცია ერი თვსი ღუთის-მსახურე-
ბად და კვალად წარავლინა სივნეთად და ძმისა და ძმისა ასულისა მისისა,
და კვალად ასპურაგანად ასტერეომ მთავრისა და ყოველნი შემოკრი-
ბნა და ასწავა მართალი სარწმუნოებად და ყოველთა ბოდის შინა ნა-
თელ იღეს სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა.

აწ მოაშრვეთ ჩემდა წმიდად ეგე მამამთავარი და კეთილი მწყე-
მსი, რათა წარგზავნოს და მომცეს საგზალი სულისა საუკუნოდ,
რამეთუ ჟამი განსლვისა ჩემისად მოახლებულ არს.“

და მიიღო რად წიგნი ნეტარისა ნინოდსაგან დედოფალმან სუ-
ჯი, აღძრული შურიითა საღმრთოდთა და სურვილთა კათოლიკე ეკლე-
სიისათა, წარმოემართა ხილვად და თაყუანისცემად ცხოველისა სუჭ-
ტისა და პატიოსნისა ჯუარისა მკედრებით და ერთ და მკვევლებითურთ
თვსით, და რამეთუ ყოველსა მას სიშორესა გზისასა თვნიერ საწე-

დარისა წარვლო და ფრწივ ვიდოდა იგი თვნიერ ჯამალთა და ცრემ-
ლით დაალტობდა ქუჭყანასა. და ვითარ მიიწივნეს პირის-პირ ტამ-
რისა ცხოველისა სუჭტისა, იხილეს, რამეთუ მდინარე იგი დიდი
არაგვ უმეტეს ზომისა მდიდროდა ფრიად, რომლისაჲ ვერ-
ვინ მჭედართაგანმან უძლო წიაღსლვად, არამედ რომელნიცა შთაჲდი-
ან გარე უკუნჩქეოდინან, შესლვად დაყენებულნი სიმძაფრითა წყალ-
თადათა.

ითქუმოდენ აქა განსაკვრვებელი იგი ყოველთა შორის და უმ-
დიდრესი სარწმუნოებითა, მამად მამად მთავართაჲ და კვალად პეტრე
მიმავალი ოჯგლისა მიმართ წყალთა მათ ზედა ზღვსათა, მჭურვალითა
სარწმუნოებითა და ვითარცა იგი თავადმან უბრძანა მოწაფეთა, ვი-
თარმედ „უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მდო-
გვსაჲ, ჰრქუათ მათსა და იცვალოს.“

ეგრეთვე ამან საკვრველმან დედაკაცმან, და უფროდსად განსაკვრ-
ვებელმან სიმდიდრითა სარწმუნოებისაჲთა აწდა მოღებასა თანა ღუთის
მეცნიერებისასა, მომღებელმან ამის მადლისამან, მიიღო მჭურვალითა
გონებითა გულად თვსსა არა გარეშე უნდოებაჲ სახისაჲ მარცულისა

1-30 სტრ., 44

მის მდოგვსაჲ, არამედ შინაგანი იგი სიმტკიცედ სიფიცხე მისი. ესე
ვითარითა გონებითა განმტკიცებულმან ილოცა ოჯგლისა მიმართ და შე-
იჭურნა წმიდათა ჯუარითა მისითა და აღჯდა საჯედარსა და ვიდრე
ხედვიდა იმიერ კერძო მთავარ- ებისკოპოსი იოვანე და ყოველი ერი,
შევიდა სიმძაფრესა მას წყალთასა. დიდებაჲ ძლიერებათა შენთა ქრი-
სტე, რომელი მარადის ნიშთა ჰმოქმედებ, შენდა სარწმუნოებითა და
სურვილითა მოსრულთა! და განდგა მდინარე იგი და განვიდა უვნე-
ბლად და მოეგებვოდა მას მეფე და მთავარ-ებისკოპოსი და ყოველი
ერი და დიდებულსა მას ზედა სასწაულსა განკვრვებულნი ადიდებდეს
ღმერთსა!

და შევიდეს ერთბამად ეკლესიაჲ და ყვეს ლიტანიასა და ლო-
ცვას; და თაყუანისცა ოჯგლისა და შეემთხვა ცხოველსა სუჭტსა და
შეწირა თავი თვსი შვილითურთ მისით და ყოვლით მონაგებით და
მცირეცა იგი ქალაქი ბართიანი და დაბაჲ დიდი ბოდისი. მაშინ
გამოიღო წიგნი იგი ნეტარისა ნინოდსი და წარიკითხა მეფემან და
ფრიადითა ცრემლითა დაალტო იგი.

და აღდგა წარემართა და მისთანა მთავარ ებისკოპოსი იოანე
და დედოფალი ნანა და ყოველნი მთავარნი მათნი და სიმრავლე ერი-
საჲ და იწყეს სლვად; და ვითარცა მიიწივნეს, მოიკითხეს

და იკითხეს მისგან. მაშინ მისცა მშვიდობა და კურთხევად მეფესა და ყოველსა ერსა და მთავარ ებისკოპოსმან იოანე და აღასრულა საიდუმლო ჟამის წირვისაჲ და აზიარა განმაცხოველებელსა ჳორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელი იგი წარიღო საგზლად საუკუნოდ და შეჰვედრა სული თვისი ჳელთა ღუთისათა.

ესრეთ შემკული მოციქულებისა მადლითა, ბრწყინვალე ქალწულებითა, განშუწნებული ღუაწლთა სიმრავლითა, აღსავსე სათნოებათა ყუავილოვნებითა, აღტურთული ტალანტთა სიმრავლითა, წარმოუდგა წმიდასა სამებასა და მიართუნა ძღუნად პატიოსნად სიმრავლე ნაშობთა სულისათაჲ. და ფრიადთა შრომითა და ღუაწლთა მიერ განკაფული, სოფლისა ამისგან სუფევად საუკუნოდ აღვიდა ოც-და მეათხუთმეტესა

1-32 სტრ., 45

წელსა ქართლსა შემოსლვისა მისისასა, ხოლო დასაბამითგან წელთა ხუთ ათას რვაას ორმოც-და-მეათხუთმეტესა (5855წ.) მაშინ შეკრბეს მეფენი და ყოველნი მთავარნი მათნი და დედოფალნი ქართლისა და კახეთისანი, და ურიცხვ სიმრავლე ერისაჲ და ხედვიდეს პირსა ნინოდსსა, ვითარცა ანგელოზისასა და ურთიერთარს დასთრგუნვიდეს, რათა სამოსლისაგან მისისა მიიღონ რაჲმე ევლოგიად, ანუ შეემთხვვნენ ღუაწლით შემოსილსა მას გუამსა მისსა. ხოლო მეფემან ძლით დააცხრო შფოთი იგი ერისაჲ; და განიზრახა მეფემან მთავარებისკოპოსისა და მთავართა მისთა თანა, რათა წმიდაჲ გუამი მისი აღმოიყვანოს მის მიერ აღშენებულსა წმიდასა მას ტაძარსა და მახლობელად სუჭტისა ცხოველისა დაჰკრძალოს. და ეჰა სასწაული დიდებული, რამეთუ ყოველთა ჳელნი უქმ იქნებოდეს და ყოვლადვე ვერ უძლეს შეძრვად სიმრავლემან მან ერისამან, ვიდრემდის მასვე ადგილსა დაბასა ბოდისს, სადა იგი აღესრულა მუნ დაჰკრძალებს ფრიადითა პატივითა და დიდებითა. და აღაშენა ლუსკუმასა მისსა მეფემან ტაძარი დიდ შუწნიერი და განაჩინა საეპისკოპოსოდ. და მიერთგან აქამომდე სასწაულნი და ნიშნი ურიცხუნი აღესრულებიან ნაწილთაგან მისთა წმიდათა სადიდებელად მამისა და ძისა და სულიას წმიდისა, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ესეცა წაურთე ყოველი, რამეთუ შუწნიერ არს, საყუარელნო, და სატრფიალო მსმენელთათვის

ამისა შემდგომად წმიდისა ნინოდს ცხორებად საუკუნოდ მისლვისა მეფემან მირიან კეთილად წარჰმართა ღუთის-მსახურებაჲ მართლისა სარწმუნოებისა მტკიცედ შეკრძალვითა, გლახაკთ მოწყალებითა, სიმდაბლითა, სიმშვიდითა, ეკლესიათა აღშენებითა, მსჯავრითა სიმარ-

თლისადათა შიშითა ღუთისადათა და სათნოდ ღუთისა აღესრულა, და დაიდვა სამთავროდსა ეკლესიასა. შემდგომად ძემან მისმან, რევ, ყოველი რომელი ემცნო მამასა მისსა, მორჩილებით აღასრულა და სათნოდ ღუთისად წაჰრმართა მეფობაჲ და იგიცა წარვიდა გზასა მამათა მისთასა.

1-30 სტრ., 46

უზწყებაჲ ჯერ არს ამისიცა, საყუარელნო, ვითარმედ ესე მეფე მირიან, ანუ სხუანი მეფენი ქართველნი, რომლისა ტომისაგან იყვნეს, ანუ ქართველნი, რომელთა ნათესავთა შვილნი ვართ. რამეთუ ალექსანდრე მაკედონელი იქმნა რაჲ მეფე, პირველად უცხო თესლნი იგი ბოროტნი წარმოაჩინა დასავლით და კერძსა ამას ჩრდილოდსასა დასხნა და ვითარცა უკმოიქცა მუნით და შემოვიდა საზღვართა ქართლისათა და იხილა ნათესავნი იგი სასტიკნი წარმართნი, რომელთა აწ ჩუჭნ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკურისასა, ქუჭვით და ქალაქნი მათნი მუნ და ციხენი ფრიად მაგარნი და ცხონდებოდეს იგინი ყოვლად უცხოდ კაცთა ბუნებისაგან, ვითარცა მკეცნი და პირუტყუნნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმად უკმარ არს, - და ენება, რათამცა აღფხურნა იგინი ქუჭყანისა მისგან, არამედ მას ჟამსა ვერ უძლო. არამედ გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველთაგანნი და დაეშენნეს იგინიცა ქართლს. შემდგომად ამისა განძლიერდა და დაიპყრა ყოველი ქუეყანაჲ ამანვე ალექსანდრე მაკედონელმან სიბრძნითა და სიმკნითა თვისითა. აღმოვიდა კვალად ქუჭყანასა ქართლისასა და ქალაქნი და სიმაგრენი ყოველნი უცხო თესლთა მათ გამოუხუნა: რომელნიმე მოსრნა და სხვაჲ სიმრავლე მათი ურიცხვ წარავლინა კედარსავე მას, სადა იგი პირველნი მიიყვანნა გარეგან ოვსეთისა და არს ქუჭყანა იგი მაღალ და ვრცელ, და სიმრავლე წყალთა, სადა იგი მიერითგან მკვდრობენ დიდნი იგი ნათესავნი ყივჩაყთანი. და თვთ იწყო შენებაჲ ქუჭყანასა ჩუჭნსა. ხოლო ჰყვა თანა აზოვე ძე არიან ქართველთა მეფისა და მისცა ქუჭყანა ესე ჩუჭნი სამეუფოდ და სამკვდრებლად და განუჩინა საზღვარი ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთა ცროლისა, და თვთ წარვიდა. ხოლო ესე აზოვე წარვიდა არიან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიო და მოქალაქე, დედებით ყრმებითურთ მათით და კვალად ათი სახლი მთავართაგან პალატისათა დედებით და ყრმებით მათით და მათთანა ჰყვეს კერპნი ღმერ-

1-32 სტრ., 47

თად. და ესე აზოვე არს პირველი მეფე ქართველთაჲ და ამისთა შვილის შვილთაგან ოცდა მერვე მეფე იყო მირიანი, რო-

მელი იგი მხოლოდ იქმნა ქრისტიანე, და მიერთგან ყოველნი მეფენი ქართველთანი არიან მორწმუნე კეთილად და ჩუჭნ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსრულ-
თანი და ენა მათი უწყით და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილის შვილნი არიან.

ხოლო მათ ჟამთა სპარსთა მიერ ფრიად იმძლავრებოდეს. რომელნი მსახურებდეს ცეცხლსა და ღმერთად თაყუანისცემ-
დეს მზესა, და ვითარცა შემდგომად მირიანისსა გარდაიცვალნეს ცხრანი მეფენი, მეათედ იქმნა ვახტანგ გურგასლან და, ვიდრე ყრმაღა იყო, იძულებით წარვიდა სპარსეთად და დაიცვა სარწმუნოებაჲ ქრისტესი კეთილად. შემდგომად რაო-
დენსამე ჟამისა მოიქცა, და იყო მიქაელ დიდი მთავარ ეპი-
სკოპოსი და შეასმინეს მისთანა, ვითარმედ ვახტანგ ქრისტიანობა დაუტევა. ხოლო მან მსწრაფლ ირწმუნა და არღარა შეიმთხვია მიმავალი მოკითხვად მისსა, არამედ ფერჯი შეამთხვია პირსა მისსა და განაძო ეკლესიისაგან.

ხოლო მეფემან ერსა ჴელი განუყარა და დაადუმა სიბრ-
ძნით; და წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოსი, და მან წარმოგზავნა პეტრე კათალიკოსად და სამოსელ ღირსი და სხუანი მისთანა. ხოლო მეფემან ვახტანგ აღაშენა ქუჭმო ესე დიდი ეკ-
ლესიაჲ და სუჭტისა ცხოველისაჲ საკათალიკოსოდ, რამეთუ პირველი იგი მცირე იყო, და მთავრად და წინამძღვრად ყოველ-
თა ეკლესიათა განაწესა და დასუა მას შინა პირველად კათა-
ლიკოსად და მწყემსად პეტრე, რომელი ზემო ვაკსენეთ, და დაამდაბლა პატივი სამთავროდსა ესრეთ ღონისძიებით შეურა-
ცხებისა მისთჳს მისისა.

ამან ვახტანგ აღაშენა ტფილისი და ქალაქი მცხე-
თაჲ, მუნ მიცვალა. ამან დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი; ამან შექმნნა კარნი იგი ოვსეთისანი, რომელთა ჩუჭნ დარიანისად

1-32 სტრ., 48

უწოდთ, და აღაშენა მას ჴედა გოდოლნი მაღალი და დაად-
გინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი და დღეინდელად დღედმდე არა ჴელეწიფების გამოსლვად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა, თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა. ამან ვახტანგ მეფემან ფრიადი ძლევად აღადგინა სპარსთა ჴედა და ყოველნი წინააღმდეგნი დაიმორჩილნა. რამეთუ იყო სა-

ზარელ და გოლიათ, და განთქმულ ყოველსა ქუჭყანასა და ჰასაკით უმეტეს ყოველთა კაცთა, რამეთუ ათორმეტი ბრჭალი კაცისა იყო სიმაღლე მისი და აწცა რომელ არს აბჯარი და სამოსელი მისი მისგან უფროს საცნაურ არს.

და იყო იგი ფრიად შემკულ ღუთის მსახურებითა და კეთილად მორწმუნებითა, რომელი მოიკლა სპარსთა ბრძოლასა შინა, მონა ყოფილისა ვისგანმე მისისა ზაკუით და არს საფლავი მისი წინაშე სუჭტისა ცხოველისა და ზედა საფლავსა მისსა წერილ არს ხატი მისი, სწორი ჰასაკითა მისისა ამისა შემდგომად ფრიადნი ჭირნი მოიწინეს სპარსთაგან ქართველთა ზედა და ფრიადნი სულნი მოსწყვდნეს და ქუჭყანანი დაიპყრნეს და ფრიადნი იწამნეს სახელისათვს ქრისტესისა, რომელთამე აღწერილ არს ჩუჭნ შს და რომელთამე აღუწერელად დაშთა. ხოლო ყოველნი აღწერილ არიან წიგნსა მას ცხოველთასა და წინაშე ღუთისა იხარებენ ამას ყოველსა ქართლისა ცხორებისა წიგნი ვრცელად მოგვთრობს.

ამისა შემდგომად გამოვიდა მეფე ჰერაკლე და შეიერთნა ქართველნი და განგებითა სამეუფოთა შევიდა სპარსეთად და ყოველი სპარსეთი შემუსრა, და ტაძარნი და ბომონნი მათნი დაამჯუნა და ჯუასრო მეფე შეიპყრა და ძელი ცხორებისა და წარმოიყვანა და ძლევა შემოსილი სამეუფოდ თვსად უკმოიქცა. ამისა შემდგომად განეფინა უსჯულოსა მუჰმედის ქადაგება და შეუდგეს ერნი ურიცხვნი, ვიდრემდის დაიპყრეს სპარსეთი და უმრავლესი კერძო ქუჭყანისა, და მიდენ და სომხითი და ვიდრე კაბადუკიადმდე და პონტოდმდე მოიწინეს. და ვითარცა განწესებულ იყო ანტიოქიით კურთხევა ქარ-

1-32 სტრ., 49

თლისა კათალიკოსისა და წესთა და მოძღურებათა საეკლესიოთა სწავლა არღარავის კელეწიფებოდა, სლვად გზასა მას შისაგან აგარიანთასა და ამისთვს ფრიადი ზრუნვა აქუნდა. ხოლო დღეთა თეოფილაკტე ანტიოქელ პატრიაქისათა წარვიდეს მოციქულნი საქართველოდთ და მიუთხრეს ამის პირისათვს, ხოლო თეოფილაკტე პატრიაქმან ყო საზოგადო კრება მიტროპოლიტთა და ებისკოპოსთა და განაჩინა ესრეთ, წერილითა ბრძანებითითა, რათა ებისკოპოსნი სამრემლოსა მისისანი შემოკრებოდნიან და ზოგადითა გამორჩევითა მათითა და საკათალიკოზოსა მის ადგილისა მღდელთა და ერისათა და განაჩინონ ყოფადი, რომელი იგი ღმერთმან გამოუცხადოს

და წესისაებრ თვთ მათვე კათალიკოზად ჳელნი დაასხნენ, და ამის პირისათჳს მოსაჳსენებელი წიგნი დაწერა და დაბეჳდა თჳსითა ბეჳედთა და მისცა მათ წესისაებრ ეკლესიისა და ერთ-სა მოსრულთა მათგანსა სახელით იოანეს ჳელნი დაასხნა კათალიკოზად.

ხოლო ვითარ იგი იყვნეს პირველ სასყიდლად ნივთთა წმიდისა მიჳრონისათა ეკლესიასა ანტიოქიისასა შეწირულნი სოფელნი რიცხვით ასი, ამათ წილ განუწესეს მოცემად მათდა წლითი წლად დრაჳკანი ათასი, რომელი იგი მიეცემოდა ვიდრე დღეთამდე იოანე პატრიარქისათა; ხოლო მიეცა იგი ორესტის პატრიარქსა იერუსალიმისასა, რომელი მოციქულად მისრულ იყო მეფისა ბასილისთანა; მხოლოდ ესეღა დაუშთინეს, რათა სახელით ხოლო მოიჳსენებოდის ქართლს პატრიარქი ანტიოქიისა. და კვალად ჟამსა წვალებათა ზედა აღდგომისასა, მიივლინებოდის მათდა და სულიერთა საქმეთა გამოიძიებდეს მათ შორის, რომლისაგან ყოვლადვე შეუხებელად და შეუმრღუჭლად და მოუდრეკელად მარადის პირველითგან დაცულ არს ნათესავი ჩუწნი თანა მოღვაწებითა ყოვლად სახიერისა ქრისტეს ღუთისა ჩუწნისა ურიცხუთა წყალობათა და უხრწნელისა დედისა მისის მეოხებითა და საფარველითა. ხოლო ბერძენთა ზედა პირველითგან ესე ვითართა ბოროტთა

1-32 სტრ., 50

წვალებათა მიერ მოწევნულნი განსაცდელნი და ჳირნი არა ადვილად აღსარიცხველ არიან.

რამეთუ მარადის მბრძოლნი ნათესავისა ჩუწნისა, განცოფებული სიბოროტითა, ხედვიდა რა ღუთისმსახურებასა ამაღლებულად და თავსა თჳსსა დათრგუნულად, - განიჳებოდა შურითა და განიჳრებოდა და ღონე ჳყოფდა მანქანებითა თჳსითა, რათა კეთილად აღორძინებულსა მას იფქლსა ღუთისმსახურებისასა და მართალსარწმუნოებისასა შეურთოს ღვაწლი თჳსისა სიბოროტისა. ვინაითგან ცხადად კერპთმსახურად აღმოფხურილ და განქარვებულ იყო ქუჭყანით, ამისთჳს მოივერაგა ყოვლად ბილწმან მან და აზმნო დარწმუნებად მის ჟამისა მეფეთა და ყოვლად მიზღურთა მათ წინამძღუართა ეკლესიათა და მთვართა ერისათა, და უჩვენებდა ბნელსა მას ნათელ და მწვირესა მას წვალებისასა რეცა მართლიად საწურთელ და სასწავლო ყოფად, რომელთა კეთილად მოღვაწენი იგი და მბრძოლნი მართლისა სარწმუნოებისანი სიმწნით წინა განე-

წყუნეს და უშიშად ამხილებდეს, რომელნი იგი ბოროტად მადიდებელთა მათ მეფეთა თანა შეწევნითა ბოროტად მადიდებელთა მათ ებისკოპოზთა არიანოზთათა, ვითარცა ძვირის მოქმედნი დასაჯნეს სიკუდიდ კაცნი სწორნი ანგელოზთანი, ვითარცა უწყით ყოველთა, რამეთუ დიდი იგი ქადაგი სინანულისა იოანე ოქროპირი ექსორიობითა განკაფეს, რომელთა შინა სოფლისა ამისგან განვიდა და კვალად პავლე აღმსარებელი, შემდგომად მრავალთა დევნათა და პერობილებათა, საბლითა მოაშთვეს ; და მაქსიმე აღმსაპრებელსა ჯელი და ენა მოკვუჭთნეს, შემდგომად ფრიადითა ჭირითა ექსორიობათა შინა სიკუდიდ დასაჯეს; ეგრეთვე სტეფანე ახალი შემდგომად მრავალთა ტანჯვათა ძელითა განტვინეს და სხუანი უმრავლესნი რიცხვნი მართლისა სარწმუნოებისათჳს მსგავსადვე კერპთმსახურთა უწყალოდ მოსწყვდნეს უსჯულოთა მათ მეფეთა წმიდათა ხატთა მბრძოლთა და ერთარსისა სამებისა მგმობართა და განმყოფელთა, ვითარცა იყო უვალი და ანასტასი და ლეონ და უსჯუ-

1-32 სტრ., 51

ლოდ კოსტანტინე და სხუანი მრავალნი. რამეთუ ესოდენ განგრძელდა საცთური ესე, რომელ ყოველნი ეკლესიანი საბერძნეთისანი დაიპყრნა ბოროტმან ამან წვალებამან; რამეთუ ესოდენ არღარა იპოვა მართლ-მადიდებელი ებისკოპოსი სამეფოსა ქუჭშე ბერძენთასა, რომელ წმიდად იოანე ებისკოპოსი გუთეთისაჲ თჳსისა სამწყსოჲსა მიერ ქართლისა კათალიკოზისა წარმოივლინა და ამიერ მიიღო ჯელთდასკმად და ეგრე წარვიდა ქუჭყანად თჳსად.

ხოლო ჩუჴნ ქართველთა ღუთის მიერთა მოხედვითა მარადის და ზედამდგომელობითა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუჴნისა ღუთის-მშობელისა და მარადის ქალწულის მარიამისაჲთა, ვინაჲთგან ვიცანთ ჭემმარიტებაჲ და აღვიბეჭდენით სულისა მიერ წმიდისა ნათლის ღებითა და ვისწავეთ მართალი სარწმუნოებაჲ, - არაოდეს მიდრეკილ ვართ გზისა მისგან წრფელისა, არცა ოდეს შესრულ არს გესლი ბოროტისა მათისაჲ გულსა ჩუჴნსა, არცა ბიწი შეგინებისაჲ მოუღია სასმენელთა ჩუჴნთა ოდესცა ბოროტთა მათ მწვალებელთა მრავალ მზრახველობისაჲ; არამედ ეკლესიანი და წინამძღუარნი და ყოველი ერი ჩუჴნი მტკიცედ და შეურყევლად ჰგიან აქამომდე მართალსა სარწმუნოებასა ზედა. და უკეთუ ოდესმე მათ მიერ სიტყვს გებაჲ ქმნილ არს პირველსავე გამოჩინებასა სიხენეშისა მათისასა წარდევნილ არიან ჩუჴნ მიერ; და კვალად ბოროტად მძვნვარებისათჳს მათისა ერისა მიერ მორწმუნისა ქჳთა განტუნულ არიან, ვითარცა საჩინოდ ჯმობს სიმრავლე იგი ქჳათაჲ, შეკრებილი პეტრო-

ზის ზედა, რომლითა საცთურისაგან მარადის გვკსნენ ქრისტემან, რომლისაა არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე.

„წმიდანო მამანო და ძმანო! ესე ნეტარისა ნინოის ცხორებად შეუწყობლად და განზნეულად ქართლის მოქცევისა თანა და ჰანბავსა მეფეთასა თანა აღრეულად სწერია, ვითარცა თქუწნ უწყით: რომელიმე თვთ მის წმიდისაგან მოთხრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისაგან, სხუად იაკობ მდდლი-საგან, სხუად აბიათიარისაგან, სხუად კვალად სიდონიასაგან. გარნა წინაუკანა და უკანაწარ იგივე და ერთი პირი და ამისათვს საეკლესიოდ მკითხველთათვს ფრიად საწყინო იყო

1-24 სტრ., 52

და მსმენელთათვს უკმარ და ვერ საცნაურ. ამის პირისათვს დაფარულად მდებარე იყო და თანა წარვკვდებოდეთ მოთხრობასა ღვაწლისა მისისასა დღესა კსენებისა მისისასა. რომელი ესე დიდი ზღვევად არს ყოველთა მორწმუნეთათვს და უფროდსად ჩუწნ ქართველთა სასწაულთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა დავიწყებასა მიცემად, რომელი იგი ღმერთმან ადიდა და რომლისა მიერ განათლდა ნათესავი ჩუწნი და ღუთის მეცნიერებად პოვა. ამისთვს ვიკადრე თვთ მის წმიდისა მეოხებათა თანა შეწევნითა და თქუწნთა ბრძანებათა მრავლებითა მეუნდომან მტუწრმან ფერტთა თქუწნთამან ყოვლად უდებად ცხოვრებულმან და უღირსმან არ[.....]ნი (ამისა) აღწერად მეფობასა დიმიტრისასა მშობელთა [.....] ღზრდით სულიერ [...]თა ღვაწლთა და ქადაგებ[.....] სასწაულთა შემდგომითი შემდგომად მიწყვა ლიტონითა სიტყვთა იგი პირი რომელი ძუწლსა შინა სწერია არცა შემიმატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყვსა და გამოცხადებად საქმისად მოკლედ და მარტივად წარმომითქუამს; და მრავალკეცსა და მასვე თანააღრეულობასა ჰანბავსასა თანაწარკდილვარ. და უკეთუ რამე შესავალად თხრობისა, ანუ ადგილ ადგილ შესაკრავად სიტყვსა სიტყუად გვკმარებია, იგიცა საღმრთოთა წიგნთაგან და წმიდათა მიერ თქმულისაგან არს და ყოველი ჭემმარიტი და ჭემმარიტებით აღწერილი და წამებული მათ მიერ, აჰა, წინაშე თქუწნსა არს, შეზღუდვილნო საღმრთოთა სიყვარულითა და მარადის მოსურნენო წმიდათა ღვაწლისანო! იკითხვედით და ერსა წარმოუთხრობდით სადიდებლად ღუთისა და პატივად მისსა რომლისაა არს დიდებად[.....]